4880

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

პარასკევი, 30 მაისი, 1941 წ. | საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ყოველკვირეული ორგანო | № 22 (181) ფასი 30 კაპ.

მეჯი ყურადღება თავდაცვითი მხატვრულ ლიტერატურას

იმ დროს, როდესაც კაპიტალისტურ ქვეყნებში ომის ცეცხლი გიზგიზებს, სსრ კავშირში საბჭოთა ხალხი ეწევა მშვიდობიან შემოქმედებითს მუშაობას, ბრწყინვალედ აშენებს კომუნისტურ საზოგადოებას. ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს მშვიდობიანი ცხოვრების ძლიერების დასაყრდენს წარმოადგენს გმირული წითელი არმია და სამხედრო-საზღვაო ფლოტი, რომელიც ყოველთვის მზად არის საკადრისი პასუხი გასცეს ყოველ თავდამსხმელს. არც ერთი არმია მსოფლიოში არ სარგებლობს ხალხის ისეთი უსაზღვრო სიყვარულით, როგორც ჩვენი მუშურ-გლეხური წითელი არმია.

მართალია, საბჭოთა კავშირი მშვიდობიანობის პოლიტიკის მტკიცე დამცველი და გამტარებელია, მაგრამ დაძაბულ საერთაშორისო ვითარებაში ჩვენი ქვეყნის ყოველ მოქალაქეს, ყოველ პატრიოტს მუდამ უნდა ახსოვდეს და სახელმძღვანელოდ ჰქონდეს დიდი **სტალინის** მითითება — ვიყოლიოთ საბჭოთა ხალხი სამობილიზაციო მზადყოფნის მდგომარეობაში. „ჩვენი ძლიერება იზრდება განუწყვეტლივ—ჩვენი სახელმწიფოს საზღვრებზე და მის შიგნით. კომუნისტის, საბჭოთა მოქალაქის წმინდა მოვალეობაა —იმუშაოს ყველგან ისე, რომ მისი შრომა უფრო და უფრო მეტად განამტკიცებდეს ჩვენი სამშობლოს ძლიერებას, მის სამეურნეო და სამხედრო ძალას...“ („პრავდა“).

საბჭოთა ხალხი გმირული და სახელოვანი შრომით და ბრძოლით ანხორციელებს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის გრანდიოზულ ამოცანას. ამ მსოფლიო-ისტორიულ საქმეს ჩვენ ვაკეთებთ დაძაბულ საერთაშორისო ვითარებაში, როდესაც იმპერიალისტური ომი მძვინვარებს კაპიტალისტურ სამყაროში. „საბჭოთა ხალხი მზად უნდა იყოს ყოველგვარი მოულოდნელობისათვის. ამ სიტყვებს იმეორებენ ხშირად, მაგრამ არა ყოველთვის აკეთებენ აქედან ყველა აუცილებელ დასკვნას“. ჩვენი პარტიის ცენტრალური ორგანოს „პრავდას“ ეს სიტყვები მთელი სისრულით შეეხება სამწერლო ორგანიზაციებს. მწერალთა ორგანიზაციები ძალიან ცოტას აკეთებენ იმისათვის, რომ მობილიზაციური მზადყოფნის მდგომარეობაში იყოლიოს მთელი ქართული საბჭოთა ლიტერატურა. ქართულ ენაზე ჩვენ თითქმის არ მოგვეპოვება არც ერთი დიდი მოცულობის თვალსაჩინო მხატვრული ნაწარმოები (რომანი, პიესა, პოემა), რომელიც განსაკუთრებით ეხებოდეს სამხედრო-თავდაცვითს საკითხებს, ჩვენი ხალხის მობილიზაციურ მზადყოფნას, ჩვენი სახელოვანი წითელი არმიის ბრძოლების ეპიზოდებს.

საბჭოთა მწერლობის ორგანიზაციისა და ყოველი საბჭოთა მწერლისათვის არ არსებობს იმაზე დიდი და საპატიო საქმე, როგორიც არის მუშაობა თავდაცვის თემატიკაზე, მუშაობა საბჭოთა ხალხის სამობილიზაციო მზადყოფნის გასაძლიერებლად, პატრიოტული გრძნობის გასაძლიერებლად მოსახლეობაში. ჩვენი წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცხოვრება თავდაცვითი ლიტერატურის საპატიო და უდიდესი თემაა.

საბჭოთა მწერლის ყოველი ახალი წიგნი უნდა შევიდეს ჩვენი სამშობლოს თავდაცვის საბრძოლო არსენალში, თვითეული წიგნი ცხოვრებაში უნდა ანხორციელებდეს რევოლუციის დიდი პოეტის მაიაკოვსკის სიტყვებს, რომ ხიშტს უნდა გაუთანაბრდეს კალამიო. „თავისი ისტორიის უმნიშვნელოვანეს მომენტებში ხალხს უფლება აქვს მოსთხოვოს თვითეულ მუშაკს, რა უბანზეცაც არ მუშაობდეს იგი, პატიოსანი, თავდადებული შრომა. სოციალისტური საზოგადოება თავის წევრებს აძლევს ყოველგვარ უფლებას, გარდა ერთი უფლებისა, ცუდი მუშაობის „უფლებისა“. ეს შეეხება როგორც ჩვენი სამეურნეო მშენებლობის ყველა დარგს, ისე კულტურულ მშენებლობას, მეცნიერებას, ხელოვნებას... ჩვენი სამშობლოს მთელ სივრცეზე შრომობენ საბჭოთა ადამიანები. ისინი იღებენ ქვანახშირს, მადანს, ნავთს. ისინი ადნობენ ლითონს და ქმნიან ახალ მანქანებს. ისინი სწავლობენ და ასწავლიან... და ყველგან, სადაც ანთია პატრიოტული ცეცხლი სოციალისტური შრომისადმი სიყვარულისა, იქ იქედება ჩვენი ქვეყნის სამეურნეო და სამხედრო ძლიერება“ („პრავდა“).

თავდაცვითს თემაზე მომუშავე მწერალი თვით კარგად უნდა იყოს დაუფლებული სამხედრო საქმეს. ამ მხრივ რუს საბჭოთა მწერლებს შესანიშნავი საბრძოლო-საფრონტო ტრადიციები აქვთ. ჩვენ ძალიან ჩამოვრჩებით რუს საბჭოთა მწერლებს. ეს გარემოება გვავალებს უფრო გავაძლიეროთ მუშაობა სამხედრო-თავდაცვითს დარგში. სამხედრო სწავლებაში უნდა ჩავაბათ უფრო და უფრო მეტი მწერალი. მწერალმა კარგად უნდა იცოდეს ის, რის შესახებაც თავათ სწერს. ომის პირობებშიაც მწერალი „ადამიანის სულის ინჟენერად“ რჩება.

სამხედრო-თავდაცვითი ლიტერატურის საკითხები მწერალთა კავშირის ყურადღების ცენტრში უნდა იდგნენ. პრეზიდიუმის სხდომებზე ხშირად უნდა დაისვას საკითხები თავდაცვითი მხატვრული ნაწარმოებების შექმნის შესახებ. სამხედრო-თავდაცვითს ლიტერატურას მეტი ადგილი უნდა დაუთმოს, მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს ჩვენმა პრესამ და კრიტიკამ.

ჩვენ ვიმყოფებით დაძაბულ საერთაშორისო ვითარებაში. მდგომარეობა გვავალებს, მუდამდღე ვიფიქროთ და ვიზრუნოთ ჩვენი ქვეყნის თავდაცვის გაძლიერებაზე. ეს დაძაბული მომენტი გვავალებს, ყოველი მწერლის აქტივობა შეფასდეს იმისდა მიხედვით, თუ რა მონაწილეობას იღებს იგი, როგორც მწერალი-შემოქმედი, თავდაცვითი ნაწარმოების შექმნის საქმეში.

გაიხსნა 1941 წლის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა

საზეიმო მიტინგს 50.000-ზე მეტი კაცი დაესწრო

წადიანსასწაულოდ გამოიყურებოდა 25 მაისს დროშებით შემკული მოსკოვის მაგისტრალი, რომელიც სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ტერიტორიისაკენ მიდის.

მესამეჯერ გაიღო ფართოდ იმ გამოფენის კარი, რომელიც გვიჩვენებს სოციალისტური მიწათმოქმედების გამარჯვებებს, საკოლმეურნეო შრომის შესანიშნავ წარმატებებს.

ყველას ყურადღება მიპყრობილია ახალი პავილიონებისაკენ — საბჭოთა მოლდავეთისა და მოკავშირე საბჭოთა ბალტიისპირეთის რესპუბლიკების პავილიონებისაკენ. ხალხური ჩუქურთმით შემკული პატარა შენობაში — მოლდავეთის სს რესპუბლიკის პავილიონში — თავმოყრილია ექსპონატები, რომლებიც საბჭოთა ბესარაბიის განთავისუფლებული გლეხობის ახალ ცხოვრებას აშუქებენ. მწვანე ხეებს შორის დგას პავილიონი, რომელსაც ამშვენებენ ახალი მოკავშირე რესპუბლიკების — ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის ღერბები.

კოლმეურნეობათა მოედანი ხალხით არის გაჭედილი. სტუმრებს შორის არის მოსკოვის ოლქის 4 ათასი კოლმეურნე, სსრ კავშირის ყოველი კუთხიდან ჩამოსული 2.000 ექსკურსანტი.

მთავარი პავილიონის შენობაზე გამოკრულია ლოზუნგი:

„სალამი დიდ სტალინს — სოციალიზმის გამარჯვებათა ორგანიზატორსა და სულისჩამდგმელს!“

სრულ შუადღეზე გამოფენის დირექტორი, აკადემიკოსი ციცინი ხსნის მიტინგს და სიტყვას აძლევს სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარს, სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მთავარი კომიტეტის თავმჯდომარეს — ამხ. ბენედიქტოვს.

უდიდესია საბჭოთა ქვეყნის სოფლის მეურნეობის წარმატებანი, კიდევ უფრო დიადი და გრანდიოზულია მისი პერსპექტივები. ამხ. ბენედიქტოვს მოჰყავს საკ. კ. პ. (ბ) XVIII სრულიად-საკავშირო კონფერენციის მიერ მიღებული 1941 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის ციფრები. გათვალისწინებულია აღებულ იქნას წელს 7.900 მილიონი ფუთი მარცვალი, მსხვილფეხა რქიანი საქონლის სულადობა გადიდდეს 19 პროცენტით, ღორისა — 38 პროცენტით, ცხვრისა და თხისა — 23-24 პროცენტით, ცხენისა — 9-10 პროცენტით. უნდა მიღწეულ იქნას მეცხოველეობის პროდუქტიულობის მნიშვნელოვანი გადიდება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

ჩვენი ქვეყნის ყველა რაიონმა დაიწყო თესვა. საჭიროა მოვემზადოთ საგვიანო კულტურების თესვისათვის, ანეულის ხვნისათვის, კულტურების მოვლისათვის, თივისა და პურეულის აღებისათვის.

წელს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ყველა პირობა მოეპოვებათ იმისათვის, რომ დიდი მოსავალი აიღონ. მიწა საკმაოდ გაჯერებულია ტენით ზამთრისა და გაზაფხულის უხვი ნალექებისაგან.

საშემოდგომო ნათესებს ყველა რესპუბლიკასა, მხარესა და ოლქში კარგი პირი უჩანს, გაცილებით უკეთესი, ვიდრე შარშან. საბჭოეთში საგაზაფხულო კულტურების აღმონაცენი კარგია.

კოლმეურნეობებში შრომის ნაყოფიერების გადიდების მძლავრი სტიმულია საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილება სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებისათვის კოლმეურნეობათა შრომის დამატებითი ანაზღაურების შესახებ.

ამხ. ბენედიქტოვი ხაზგასმით აღნიშნავს გამოფენის დიდ მნიშვნელობას სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის. წელს მნიშვნელოვნად გადიდა სოციალისტური მიწათმოქმედების გამარჯვებათა საყოველთაო-სახალხო დათვალიერების მონაწილეთა რიცხვი. გამოფენაში მონაწილეობის უფლება მიიღო 24.220 კოლმეურნეობამ, 15.687 საკოლმეურნეო ფერმამ, 503 მტს-მა, 1.095 საბჭოთა მეურნეობამ, სოფლის მეურნეობის 314.394 მოწინავემ. გამოფენის მონაწილე კოლმეურნეობათა შორის ბევრია ისეთი კოლმეურნეობა, რომელმაც მაღალ მაჩვენებლებს მიაღწია არა მარტო მარცვლეულის დარგში, არამედ მეცხოველეობის, ტექნიკური კულტურებისა და სოფლის მეურნეობის სხვა დარგებშიც. შარშან მეურნეობის რამდენიმე დარგის მიხედვით გამოფენაში მონაწილეობდა 1.764 კოლმეურნეობა, ახლა კი მონაწილეობს 9.306 კოლმეურნეობა. თვალსაჩინო წარმატებას მიაღწია არა მარტო ბევრმა კოლმეურნეობამ, არამედ ასობით რაიონმა.

შესავალი სიტყვის შემდეგ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დავალებით ამხ. ბენედიქტოვი გახსნილად აცხადებს 1941 წლის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენას.

დიდებულად ჟღერს „ინტერნაციონალი“. გამოფენის დირექტორი, აკადემიკოსი ციცინი მთავარ ბაირაღს აღმართავს. ამის შემდეგ ფლაგშტოკების წვეროებისაკენ აფრიალდება ზონალური და დარგობრივი პავილიონების წითელი ბაირაღები. მაღლა სჩქეფს წარმტაცი ქალაქის პატარა და დიდი შადრევნები.

— ძვირფას სტუმრებს ვთხოვ პავილიონებში მობრძანდნენ, — ამბობს ამხ. ციცინი მიტინგის დახურვისას.

გამოფენის 50.000-ზე მეტი მნახველი პავილიონთან სტუმართმოყვარედ გაღებული კარებით მიეშურება სოციალისტური მიწათმოქმედების გამარჯვებათა საყოველთაო-სახალხო დათვალიერებაზე. (საკდესი).

ივან ფრანკოს გარდაცვალების 25 წლისთავი

დიდი მოღვაწე-შემოქმედი

უკრაინის ხალხის განთავისუფლებისათვის მებრძოლ მოწინავე ადამიანთა და უკრაინის კულტურის შემოქმედთა თანავარსკვლავედში მრავალფრად ელვარებს ივან ფრანკოს სახელი. ფრანკოს მოღვაწეობა იმდენად მრავალმხრივი და ნაყოფიერია, რომ მის ლიტერატურულ და მეცნიერულ მემკვიდრეობას შეიძლება ეწოდოს იმდროინდელი უკრაინის ცხოვრების ენციკლოპედია. არ არის მწერლობის, ჰუმანიტარული მეცნიერებისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ისეთი სფერო, რომელშიაც მას უდიდესი წვლილი არ შეეტანოს, რომელზედაც მას უღრმესი კვალი არ დაეჩნიოს. მისი ლიტერატურული ნაწარმოებებისა და მეცნიერული შრომების მარტო ჩამოთვლას უჭირავს ერთი ვეებერთელა ტომი. ფრანკო იყო არა მარტო მხატვრული სიტყვის დიდი ოსტატი, არამედ ბრწყინვალე ფილოლოგი, კულტურისა და ლიტერატურის მკვლევარი, ისტორიკოსი, პუბლიცისტი და პოლიტიკური ტრიბუნი. იცოდა რა ათი ევროპული ენა, ფრანკომ რუსი და ევროპელი კლასიკოსების (მათ შორის ჰომეროსის, სოფოკლეს, შექსპირის, გოეტეს, ვოლტერის, პუშკინის, გოგოლის, ლერმონტოვის, ტოლსტოის, ტურგენევის) ნაწარმოებთა თარგმნით გაამდიდრა უკრაინული მწერლობა, შეავსო მნიშვნელოვანი ხარვეზი უკრაინულ კულტურაში. მან პირველად სთარგმნა თავის ენაზე მარქსის კაპიტალი. სამი ათეული წლის განძავლობაში იგი ხელმძღვანელობდა უკრაინის რევოლუციურ პერიოდიკას, თანამშრომლობდა პოლონურ დემოკრატიულ პრესაში და ერთხანს ვენაში რედაქტორობდა ჟურნალს, რომელშიაც, მისი მიწვევით თანამშრომლობდნენ მოწინავე ევროპელი მწერლები.

რა სფეროშიაც არ უნდა ემოღვაწა, რა ენაზედაც არ უნდა ეწერა ფრანკოს, ყველგან იგი ერთ დიდ მიზანს ემსახურებოდა — უკრაინის მშრომელი ხალხის სოციალურ-ნაციონალური განთავისუფლებისა და ხალხთა შორის ინტერნაციონალური სოლიდარობის განმტკიცების საქმეს.

ფრანკო თავისი საზოგადოებრივი ლიტერატურული მოღვაწეობით არის იმ სოციალურ-ეროვნული იდეალების მემკვიდრე, რომლებიც ბრძოლისთვის აღფრთოვანებდნენ დიდ კობზარს ტარას შევჩენკოს. ამავე დროს ფრანკოს პოლიტიკურ-ლიტერატურული მოღვაწეობა, რომელიც ისტორიის ასპარეზზე ახალი კლასის — უკრაინელი პროლეტარიატის გამოსვლას დაემთხვა, რომელიც რუსეთის და ევროპის პროლეტარიატის პოლიტიკური ბრძოლების გამოცდილებით აღჭურვა, არის შემდგომი ეტაპი, უფრო მაღალი საფეხური უკრაინის ნაციონალურ-გამანთავისუფლებელ მოძრაობაში. ამ მოძრაობის გაღრმავებისა და წინსვლის გამოხატულებაა ფრანკოს არა მარტო პოლიტიკურ-საზოგადოებრივი მოღვაწეობა, არამედ რევოლუციურ მუშაობასთან განუყრელად დაკავშირებული მისი მხატვრული შემოქმედებაც, რომელიც მეტად მრავალწახნაგოვანი და მრავალეანრობრივია. უკრაინის ლიტერატურის ისტორიაში ფრანკო შედის, როგორც ლირიკოსი, როგორც ბელეტრისტი, დრამატურგი და მხატვრული ლიტერატურის კრიტიკოსი. ყველა ჟანრში მისი კალამი ჰქმნის იდეურად ღრმა, სოციალურად მახვილ, პოლიტიკურად მძაფრ ნაწარმოებებს.

ფრანკოს ლირიკა არის არა მარტო პოეტის გრძნობებისა და ფიქრების გამოხატვა, არამედ გარკვეულ ისტორიულ საფეხურზე უკრაინული ხალხის მიერ განცდილი განწყობილებების ანარეკლიც. ჯერ კიდევ თავის ყრმობის ლექსებსა და პოემებში მწერალმა ღრმად ჩაგვახედა მრავალტანჯული, მაგრამ შემოქმედებითი ძალღონით სავსე უკრაინელი ხალხის გულში, გაგვაცნო მისი საბრძოლო სულისკვეთება და შეუდრეკელი რწმენა უკეთეს მერმისში. ფრანკოს ლექსები (ციკლიდან „მწვერვალებიდან და დაბლობებიდან“) არის რევოლუციური ჰიმნები, საბრძოლო მოწოდებები, ხალხის რისხვის გამომხატველი სიმღერები. მაგრამ საბრძოლო პოეზიის შესანიშნავ ნიმუშებთან ერთად ფრანკო ჰქმნის ფაქიზი ინტიმური განცდებით გამსჭვალულ ლექსებსაც, რომლებიც სინამდვილის გაშლილ მხატვრულ გახსნას შეიცავენ და სრული მრავალმხრივობით და მთელი სიღრმით გვაგრძნობინებენ პოეტის შინაგან სამყაროს. თავისი განწყობილებით, თავისი ინტონაციით ფრანკოს ლირიკა მრავალხმოვანია. მის ლექსებში ერთმანეთს სცვლიან მძაფრი სოციალური მოტივები, პათეტიური, საბრძოლო მოწოდებები და ინტიმური გრძნობები, მგზნებარე სულისკვეთება და ნაზი მოწყენილობა, ფილოსოფიური დაფიქრება და იუმორისტული სიმახვილე. ამის მიხედვით მრავალფეროვანია ფრანკოს ლექსების ფორმაც. მან პირველმა უკრაინულ პოეზიაში შეიტანა ლექსის ისეთი წყობა, როგორიც არის სონეტი, ტერცინი, ოქტავი. მაღალი სულისა და ანთებული გულის პოეტი ფრანკო პოეზიის ამ რთულ ფორმებში აყალიბებს როგორც უკრაინის ხალხის კლასობრივ სიძულვილს და მის საბრძოლო განწყობილებას, ისე თავის პირად გულის ვარამს, თავის სევდას და მწუხარებას, მაგრამ ეს როდი მოასწავებს დისჰარმონიას ფრანკო მოქალაქესა და ფრანკო ადამიანს შორის. მის ღრმად ადამიანურ სევდასაც სოციალური ფესვები ჰქონდა, მისი პოეზიის მწუხარე ჰანგებსაც მწერლის იმ დროინდელი სინამდვილე ასაზრდოვებდა ან, როგორც თავად ამბობს ერთ ლექსში:

„ჩემი წუხილის მშობელი იყო
ჩემი და ჩემი ხალხის ტყვეობა“.

სამშობლო ქვეყნის მძიმე ხვედრი პოეტს ნაგრძნობი და შეცნობილი აქვს, როგორც პირადი უბედურება.

ფრანკოს მთელი შემოქმედების ფილოსოფიად ბოლომდე რჩება ბრძოლის ფილოსოფია. ამ მოუსვენრობის, ამ ბრძოლის ჰანგებით აღსავსეა მისი ლირიკა და მისი ლირიკულ-ეპიური ნაწარმოები „მოსე“, ბიბლიურ სიუჟეტზე აგებული, დრამატიულად ძალზე დაძაბული პოემა, სადაც პოეტი გამოხატავს უკრაინელი ხალხის ტანჯვით აღსავსე თავგადასავალს, სადაც პოეტი თავის ხვედრს ადარებს ბედს ბიბლიური წინასწარმეტყველისას, რომელიც არაბეთის მცხუნვარე უდაბნოში ებრაელ ხალხს ორმოც წელიწადს წინ უძღოდა ქანაანის აღთქმული ქვეყნისაკენ და, ბოლოს, ხანგრძლივი ხეტიალით დატანჯული და იმედგაცრუებული სულმოკლე შვილებისაგან შევიწროებული და დევნილი ადის მწვერვალზე, რომ იქიდან უჩვენოს ხალხს გზა თავისუფლებისა და ბედნიერებისაკენ. 1905 წლის რევოლუციის დროს დაწერილ ამ პოემით, რომელსაც იდეური სიმაღლისა და მხატვრული სრულყოფის გამო მსოფლიო ლიტერატურის ნიმუშებს ადარებენ, ფრანკომ დააგვირგვინა თავისი ლირიკული შემოქმედება.

მაგრამ არა ხაკლებია ფრანკოს ღვაწლი უკრაინული ლიტერატურის წინაშე, როგორც ბელეტრისტისა. თავისი პირველივე პროზაული ნაწარმოებებით ფრანკო არღვევს მაშინდელ ლიტერატურულ ნორმებს, უკრაინული სოფლის „ეტნოგრაფიული ეგზოტიკის“ ასახვის ტრადიციებს, პროზაში გაბატონებულ იდილიას და გვევლინება ამ ჟანრის განმაახლებლად, კრიტიკული რეალიზმის ფუძემდებლად უკრაინულ ლიტერატურაში. გლეხობის წრიდან გამოსულმა, მისი ვითარების კარგად მცოდნემ, პროლეტარულ მასებთან რევოლუციური მუშაობით დაკავშირებულმა ფრანკომ დიდი სიმართლით, ღრმა რეალისტური ძალით წარმოგვისახა ღარიბი გლეხობის, ხელოსნების, მუშების აუტანელი გაჭირვება, გვიჩვენა კაპიტალიზმის გაფთრებული შეტევის გამო მოსახლეობის დანაწილება სხვადასხვა სოციალურ ფენებად, მათი დაყოფა ორ მთავარ მოწინააღმდეგე ბანაკად, რომელთაგან ერთში თავს იყრიან კაპიტალისტები, მემამულეები, მღვდელ-მონოზნები, ბიუროკრატ-ჩინოვნიკები და მეორეში — გაღატაკებული გლეხობა და პროლეტარიატი. ბორისლავურ მოთხრობებში, „Boa constuctor-სა და რომანში „ბორისლავი იცინის“ დახატულია მუშათა კატორღული შრომა ბნელ და ნესტიან მაღაროებში, მათი მორალური გათელვა, კაცური ღირსების დამცირება, ამასთან ერთად წარმოსახულია მათი თანდათანი გათვითცნობიერება, დარაზმულობის ზრდა, მათი პირველი შეტაკებანი მეწარმეებთან, ჯერ კიდევ სუსტად ორგანიზებული, თითქმის სტიქიური აჯანყებანი კაპიტალის წინააღმდეგ. რომანი „ბორისლავი იცინის“, სადაც ფსიქოლოგიური სიმართლით და იშვიათი მხატვრული ზომიერებით არის დახატული, ორივე მებრძოლი ბანაკი, მკვეთრ, ცხოველ, კონკრეტულ სახეებში წარმოდგენილია სამრეწველო კაპიტალიზმის ჩასახვის და პროლეტარიატის დაბადების პროცესი, ახალი კლასის პირველი სტიქიური გამოსვლები, ავსებს ხარვეზს არამარტო უკრაინულ, არამედ მთელ საბჭოთა კავშირის ხალხთა ლიტერატურაში, რომლის ფონდშიც არ ყოფილა ნაწარმოები, სადაც ასეთი სისრულით ასახული ყოფილიყოს ყველა ქვეყნისთვის დამახასიათებელი ეს პროცესები.

ამ დიდი მემკვიდრეობით საბჭოთა ხალხების ლიტერატურის საგანძურში შემოდის ფრანკო, რომელსაც აფასებს და პატივს სცემს ყველა ჩვენგანი, როგორც საკუთარ მშობლიურ მწერალს.

ივ. ფულუკიძე

თეატრალური თვითმოქმედების მუშაკთა შეხვედრა სცენის ოსტატებთან

ახლახან დასრულდა თეატრალური თვითმოქმედების მუშაკთა რესპუბლიკური კონფერენცია. კონფერენციის მონაწილეები 25 მაისს დაესწრნენ რუსთაველის თეატრის წარმოდგენას „ჭიქა წყალს“. წარმოდგენის დამთავრების შემდეგ შესდგა თეატრალური თვითმოქმედების მუშაკთა შეხვედრა სცენის მუშაკებთან.

შეხვედრა დაიწყო ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსის მოადგილის პ. კანდელაკის შესავალი სიტყვით. პ. კანდელაკმა ილაპარაკა იმაზე, თუ რა მნიშვნელობა აქვს სცენის ოსტატების შეფობას თვითმომქმედ თეატრალურ კოლექტივებზე. ამავე საკითხზე სიტყვები წარმოსთქვეს ა. ვასაძემ, გ. დავითაშვილმა, ვ. ნინიძემ, სანდრო შანშიაშვილმა, გიორგაძემ, მულმანმა და მებურნუთოვმა.

ყოველმა მათგანმა დიდად შეაფასა ეს შესანიშნავი წამოწყება. მათ აღნიშნეს, რა თვალსაჩინო მნიშვნელობა აქვს სცენის ოსტატების სისტემატურ მუშაობას თეატრალური თვითმოქმედების ხარისხის გაუმჯობესებისათვის და ახალი კადრების გამოვლინების საქმეში. ისინი მოითხოვდნენ მხოლოდ, რომ ამ მუშაობას უფრო მეტი პრაქტიკული ხასიათი მიეცეს, უფრო მეტად იქნას იგი გაღრმავებული.

თეატრალური თვითმოქმედების მუშაკთა შეხვედრა სცენის ოსტატებთან დასრულდა ამხ. პ. კანდელაკის სიტყვით. მან მადლობა გამოუცხადა სცენის ოსტატებს იმისთვის, რომ ისინი შემოქმედებითს დახმარებას უწევენ თვითმომქმედ თეატრალურ კოლექტივებს და მოუწოდა მათ, უფრო მეტად გააფართოონ და განავითარონ ეს საპატიო საქმე.

საესტრადო თვითმოქმედების დათვალიერება

სსრკ სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა კომიტეტის დადგენილებით, რესპუბლიკებისა და ოლქების 30 მსხვილ ქალაქში ჩატარებულ იქნება საესტრადო თვითმოქმედების დათვალიერება.

დათვალიერების მიზანია — გამოავლინოს ძალები, შეავსოს პროფესიულ მსახიობთა კადრები.

დათვალიერება დაიწყება 1 აგვისტოს და ორ თვეს გასტანს.

ნ ი ა ვ ი

შალვა სოსლანი

გაზაფხული ჩვენში თებერვალს მოსდევს.

გარშემო წვიმა და ქვენა-ქარია, ცას მოლურჯო-ნაცრისფერი აძევს. ფრთაველი ქვენა დაფარფატებს ყველგან, შემომჯდარა ჭოტივით ოდა-სახლის სახურავებზე, ჩაჩკივის საკვამურებს და სისინით ეცლება მის კედელ-ყურეებს. ან ჩალის კარებს მიაწყდება ფაცხა-ოდებში, ზუზუნით ატანს მოწნული კედლების ჭუჭრუტანებს და კერიის კვამლი ხან მიწამდე იზნიქება, ხან მტრედის გუნდივით აიშლება ისლიან სახურავებისაკენ.

ასეთია ჩვენში თებერვლის თვე.

მაგრამ უეცრად ამ თვეს გამოერევა ხამი ისეთი დღე, რომლებიც თებერვლის თვისას არ გვანან სრულებით: ეს თითქოს მაისის თვიდან ნასესხები დღეებია — მზიანი და წყნარი.

ასეთ დღეებში ყოველ დილით სახურავებზე ფარშევანგივით დაჯდება მზე და მისი სხივები საღამომდე ულიტინებენ თბილი თათებით კედლების ნესტიან ჭუჭრუტანებს.

ღობეებთან მსუბუქი მოლურჯო ნისლი აბოლდება, მიწა გამოსცემს ისეთ ნესტიან და მიწისთვის უჩვეულო სურნელებას, რომ უნებურად აცქერდები მას და ამჩნევ, რომ ბალახის ლაჟვარდოვან ჩრდილში თურმე ლურჯთვალა იები დაბადებულან.

ამიტომაც ჰქვიან ჩვენში გაზაფხულის ამ წინამორბედს ასეთი მოკლე სახელი — ია, თითქოს ახალშობილი ბავშვის ძახილიაო.

დღემდე არ ვიცი, სად და ვისგან ისესხა იამ თავისი ღია ლაჟვარდისფერი და ასეთი არა მიწიერი სურნელება იმ დროს, როდესაც მის გარშემო მხოლოდ წვიმის ტბორებია და ტალახიანი ნოყოები. ღობის ძირებში ჯერ კიდევ თოვლის ნამქერია ჩაცუცქული თეთრი კატის კნუტებად და შარშანდელი წლის ბალახსაც არ ეახმობია კიდევ ძირი.

მაგრამ ყველა ხედავს, თუ როგორის ლაჟვარდისფერი შუქით ინთებიან ზედიზედ იები ღობეთა ჩრდილებში.

დილით თებერვალი იყო, ხოლო შუადღისას უკვე მაისივით კაშკაშებს მზე და იების შუქითაა მოფენილი მთელი ეზო. ნაშუადღევისთვის ცა ისევ ათებერვალდება, მაგრამ საკმარისია საღამოს ჟამისთვის მზე შედგეს ჰორიზონტზე და წამსვე იის სურნელებით გაჟღენთილი ქარი ჩამოუქროლებს ქუჩებს და ჭალებს, უფოთლო ხეებს და ისლის სველ სახურავებს.

ჩვენში ამ ქარს მძინარე ბავშვის სუთქვასავით უნაზესი სახელი ჰქვიან — ნიავი.

ვინ უწყის, სადა აქვს სათავე ნიავს? მთაში იბადება, ორწოხებში თუ ველის პირად?

იქნებ ის არის, მდინარეს რომ თან მოჰყვება თვალის უჩინრად, ან წყაროების ჩუმი ამოოხვრაა?

იქნებ იგი დღე და ღამის გაბაასება იყოს, ლექსად თქმული?

ან შეიძლება ზამთრისა და გაზაფხულის გაყრას ნიშნავდეს?

მე სწორად ისიც კი მიფიქრია, იქნებ ნიავი დედამიწის დიდი ბრუნვის საგანია და მეცნიერთ მისთვის ჯერ ენაც კი ვერ უპოვნიათ?!

მაგრამ ყველამ იცის, თუ როგორ საამოა ნიავი შუადღის პაპანაქებაში, როცა იგი უცებ სიგრილეს მოჰბერს სიცხით გაალმურებულ სახეს, ჩიტივით ჩაუქროლებს ყანებში მეთოხეებს, სწვდება მათი პერანგის საყელოებს, ან კეკლუცურად გაუთამაშებს ქალაშვილებს ყურის ძირებთან ჩამოშლილ კულულებში.

ასეთია ნიავი.

საკმარისია ოდნავ შეეხოს იგი ბალახის ღეროებს და ბალახი სიხარულით ცახცახებს, თრთის. მიეპარება ნიავი პაწაწინა, სამყურა ბალახს და შეურხევს ხან პირველსა და ხან მესამე ფოთოლს. ამ დროს ჩვენს იებს ჩიტის ბარტყებივით აქვთ გამოწვდილი ბალახის ბუდეებში ლურჯი ნისკარტები და ხარბად იჭერენ ნიავის სუნთქვას.

ნიავი დაუვლის იების გუნდს, ხელებს გადახვევს მათ მოქნილ ღეროებს. იებიც მორცხვად თავს უკრავენ ნიავს, გამოდიან ღობის ძირში საცეკვაოდ და ისეთ ფერხულს აბამენ ნიავთან, რომ ჰაერში ლურჯი მტვერის კორიანტელი დგება.

მათ შემხედვარე ქვასაც კი ჩრდილი გადაეყრება სახეზე ამ დროს...

O

ეხლა, დიდ ქალაქში მცხოვრები, მე ზშირად ვუყურადებ აქ ყინვიანი თებერვლის მზიან დღეებს.

ჩემს ოთახს ქალაქში ორმაგი ფანჯარა აქვს.

ფანჯრებიდან მოსჩანან ქუჩებში დარაჯებივით ჩამწკრივებული ფანრები.

მოედნებზე მაღალ ქვის ღობედ აღმართულან სახლები. ეს სახლები იმდენად მაღალია, რომ მათ ვერც ალვისა და ვერც არყის ხე ვერ შეწვდენია. სახლების წინ რკინის სვეტებია და სვეტებს გზის მუშებივით უჭირავთ ხელში სვეტებს შორის გაჭიმული მავთულები.

საღამოს, როდესაც მზე სახლებს იქით ჩადის და ქუჩა-მოედნები შემოირტყამენ წელზე ჩრდილებს, რკინა-ბეტონის ყრუ კედლებში ჩასმულ ფანჯრებზე მსუბუქი, ყინვიანი ჭავლი ჩნდება. ფანჯრის სიფრიფანა მინებზე ეს ჭავლი მოაქვს არა გრიგალსა და ქარბუქს, არა ყინვიანი ქარის უეცარ შემობერვას, არამედ ქალაქელებისათვის. შეუმჩნეველ, ხოლო ჩემთვის დიდიხნის ნაცნობ ნიავის ქროლვას...

შუაღამეში მოედანზე გამოჩნდება უზარმაზარი თეთრწვერა მგზავრი; თავზე მას იისფერი ფაფახი ხურავს და ტანზე სრული, თოვლშეფრქვეული ქურქი აცვია.

მოდის მოხუცი და თან მოჰყვება იების ლანდი. ეს ლანდია სწორედ ნიავი, რომელიც ლურჯი მტრედივით უზის მგზავრს განიერ მხარზე, სახლები, ქუჩები, ხეები, ფანრები და მავთულგაბმული რკინის სვეტები ფეხშიშველნი, სიცივისაგან მოკუნტულნი მოჰყვებიან თოვლიან მოხუცს აჩრდილებივით.

მგზავრს დიდრონი და უსინათლო თვალები აქვს. იგი მოუახლოვდება ჩემი ოთახის ფანჯრებს და ნელის სუნთქვით დააკაკუნებს მიწაზე.

გათოშილ მოხუცს შემოსვლა სწადის ჩემს ოთახში, მაგრამ ორმაგი ფანჯრის მინა შინ არ უშვებს მას: და მე ვხედავ, როგორ სწუხს ნიავი: მოაფრინდება ჩემს ფახჯარას, აფრინდება და ისევ მოაფრინდება.

მოხუცი ჯდება ფანჯრის რაფაზე სინათლისა და სითბოს გარდი-გარდმო და უეცრად მინებზე მტრედის ფეხის ნაკვალევები გაჩნდებიან ჩუქურთმებივით. მოხუცი ეკვრის თბილი ჭაღარით მინებს და ნიავი გამალებით ჰქსოვს ზედ ყინულოვან ყვავილნარების ქსელს...

დილით, როცა ქუჩა-მოედნის სახლების გადაღმიდან ისევ ამოდის მზე და ფარშევანგივით გაშლის ოქროს ფრთებს, ჩემი ოთახის ფანჯრებზედაც მე ვხედავ მინებზე ამოქსოვილ ტოტებს, ფოთლებსა და ვეებერთელა მზიური ვარდების გამჭვირვალე ფურცლებს, ხოლო აქა-იქ, მათ შორის მინის სიმწვანესა და მზის შუქით მოოქრულ კიდეგანებში ლურჯად ბრწყინავენ ია-იებიც.

ოთახი ჩემი სავსეა იებით.

მოფანტულია ფანჯრის რაფაზე.

იები იატაკზე.

იები მაგიდაზე.

იები ჭიქაშიც.

იებია ოთახის ყოველ კუთხეში: წიგნებზე, რვეულებში, იები გადმოკიდულან შპალერებიდან, ჩაბუდებულან გაზეთის სვეტებშიც. ოთახში დაჰქრის იის ქარი,—ნიავი და მე აღტაცებული ვიძახი: ია-ია! გაზაფხული მოვიდა!!

ყინვით გათანგული მუნჯი მავთულებიც კი შეირხევიან ამ დროს ქუჩებში და მხიარულის ამოოხვრით ჩამოიშლიან წარბებიდან თოვლის ფანტელებს...

O

პირველი ანბანი, რომელიც ამოვიკითხე მე ბავშვობისას „დედა-ენაში“ იყო ი და ა. ამ ანბანს ზემოთ წებოს სუნით გაჟღენთილ კოკორის წიგნში დახატული იყო იების კონა, რომელსაც ქვევით ეწერა— **ია.**

მას შემდეგ მე მრავალი წიგნი გადამიკითხავს მრავალ ენაზე და ყოველთვის ი-ნი და ა-ნი შემომქქეროდნენ თვალებში თეთრი ქაღალდის ფურცლებიდან ხშირ ასოების ბალახებში თავამორგულნი. ხოლო არსად და არასოდეს მე არ მინახავს ფერადებით წიგნებში ჩახატული ნიავი.

ია იბადება ჩვენს ქვეყანაში.

ის იბადება თებერვლის დღეებში ნიავთან ერთად და დედები ია-ნანას ხმაზედ უმღერიან ბავშვებს იის სახელს.

ასეთია ნიავი.

ხ ო მ ლ ე ლ ი

შ. რადიანი

მეცხრამეტე საუკუნის 80-90-იან წლებში ქართული ლიტერატურის სხვადასხვა ჟანრის—პოეზიის, პროზის, დრამატურგიის განვითარებასთან ერთად აღორძინდა მხატვრული კრიტიკაც. ამ დარგში მოღვაწეობდა რამდენიმე მეტად თვალსაჩინო შემოქმედებითი ძალა. განსაზღვრული მსოფლმხედველობისა და მეთოდების საფუძველზე ისინი ცდილობდნენ გაერკვიათ და გაეთვალისწინებინათ ჩვენი ლიტერატურის წარსული და აწმყო. კრიტიკულ შეხედულებათა სხვადასხვაობა საკმაოდ აცოცხლებდა მაშინდელ ლიტერატურულ ცხოვრებას და ხელს უწყობდა მწერლობის განვითარებას.

მეცხრამეტე საუკუნის 80-იან წლებში სამოქმედო ასპარეზზე გამოსულ მოღვაწეთა შორის თვალსაჩინო და თავისებური ადგილი უჭირავს კრიტიკოს ხომლელს (რომანოზ ფანცხავას). პირველ ხანებში იგი ნაროდნიკული იდეოლოგიის გავლენას განიცდიდა. მაგრამ მალე შეიგნებს ამ მიმართულების შეცდომებსა და სიყალბეს, ჩამოშორდება მას და შემდეგში არა ერთხელ გააკრიტიკებს ამ იდეოლოგიას. ხომლელი საკმაოდ იცნობდა მარქსიზმს და თავის წერილებში არა ერთხელ უცდია მისი მომარჯვება საზოგადოებრივი ხასიათის მოვლენების გარკვევის დროს.

ხომლელის პირველი სტატია 1882 წელს დაიბეჭდა ქუთაისის გაზეთ „შრომაში“. ამ დროს იგი თბილისის სემინარიის მესამე კლასის მოსწავლე იყო. ამ წერილში („ხმა თბილისიდან“) შან აღწერა თბილისის ერთ-ერთი საწარმოოს მუშათა ცხოვრების პიროობები. ამას შემდეგ იგი თანამშრომლობდა „დროებაში“, „ივერიაში“, „კვალში“, „აკაკის კრებულში“, „მოამბეში“ და სხვაგან.

1889-90 წლებში ხომლელი ხელმძღვანელობდა ჟურნალ „თეატრს“, რომელშიაც ათავსებდა კრიტიკულსა და პოლიტიკურ-მეცნიერული ხასიათის წერილებს.

1914 წელს ხომლელის ხელმძღვანელობით ქუთაისში გამოდიოდა ჟურნალი „ცხოვრება“, რომელსაც, სამწუხაროდ, დიდხანს არ ეარსებნია.

სარედაქციო მუშაობასთან ერთად ხომლელი ნაყოფიერ ლიტერატურულ-კრიტიკულ მოღვაწეობასაც ეწეოდა. 1885 წლიდან იგი სისტემატურად ათავსებს კრიტიკულ სტატიებს თითქმის ყველა მაშინდელ გამოცემაში, ჟურნალსა და გაზეთში. მისი კრიტიკული სტატიებიდან უპირველეს ყოვლისა უნდა დავასახელოთ 1893 წელს „კვალში“ მოთავსებული წერილების სერია, სათაურით „ჩვენი ლიტერატურის მდგომარეობა“, სადაც განხილულია ჩვენი ლიტერატურულ-კულტურული ცხოვრების მრავალი საჭირბოროტო საკითხი. საყურადღებოა მისი წერილი „ქართველი გლეხის შვილი“. მასში განხილული და შეფასებულია ი. ჭავჭავაძის, გ. წერეთლის, ნ. ლომოურის, ს. მგალობლიშვილის, ე. გაბაშვილის, ა. ყაზბეგის, ე. ნინოშვილის, შ. არაგვისპირელის, მელანიას, დ. მეგრელის და სხვათა შემოქმედება, და მეტად დაკვირვებული აზრები გამოთქმული მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ქართული ლიტერატურის განვითარების გზებისა და ხასიათის შესახებ.

ხომლელმა რამდენიმე წერილი მიუძღვნა აკაკი წერეთელს, ვაჟა-ფშაველას, ნ. ნიკოლაძეს, ი. დავითაშვილს, დ. კლდიაშვილს, ვ. ბარნოვს, ია ეკალაძეს და სხვ. ამ მწერალთა შემოქმედების მრავალი მხარე, დამახასიათებელი თვისებები, შესანიშნავად არის გარკვეული ამ წერილებში.



ხომლელი ავტორია ძალზე საინტერესო მონოგრაფიისა — „ნიკოლოზ ბარათაშვილი და მისი დრო“. ამ მონოგრაფიაში მას განხილული აქვს რომანტიზმის ეპოქა ქართულ ლიტერატურაში.

ხომლელი მეტად მრავალფეროვანი კრიტიკოსი იყო. იგი არ შემოფარგლულა მარტო ქართული ლიტერატურით. მან წერილები მიუძღვნა რუსული და გერმანული ლიტერატურის მრავალ თვალსაჩინო წარმომადგენელს. აღსანიშნავია განსაკუთრებით წერილები ლესინგისა („აკაკის კრებული“, 1899 წ.) და ბელინსკის („მოამბე“, 1898 წ.) შესახებ.

სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე ეწეოდა ხომლელი აქტიურ სალიტერატურო მოღვაწეობას. მიუხედავად ხანდაზმულობისა, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგაც თანამშრომლობდა იგი ჩვენს პრესაში — „მომავალში“, „ქართულ მწერლობაში“ და სხვ. თავისი ცხოვრების უკანასკნელ ხანებში ხომლელმა გამოაქვეყნა კრიტიკული წერილები ე. ნინოშვილსა და გ. წერეთელზე. დაიბეჭდა აგრეთვე მისი საყურადღებო მოგონებები 80-90-იანი წლების ლიტერატურული ცხოვრების შესახებ.

ხომლელი ლიტერატურისა და ხელოვნების სოციალური დანიშნულების აპოლოგეტია. იგი დიდ გავლენას განიცდიდა რუსული კრიტიკული აზროვნების ხახელოვანი წარმომადგენლების — ბელინსკის, დობროლიუბოვის, ჩერნიშევსკის და სხვებისას. ხომლელი ხელოვნებისა და ლიტერატურის საკითხებში საღი უტილიტარიზმისა და ტენდენციურობის პრინციპების დამცველად გამოდიოდა. იგი ებრძოდა იმათ, ვინც ცდილობდა ბელინსკის შეხედულებებში დაენახა მხოლოდ უხეში ტენდენციურობა. იგი სწერდა: „ზოგიერთი დოკტრინერი ბელინსკის უსაყვედურებს, რომ მან უღალატო მხატვრობა-ხელოვნებას და ტენდენციების ზღვაში ჩაიფლაოა. ეაგრამ, რასაკვირველია, ეს არ იყო არავითარი ღალატი მხატვრობა-ხელოვნებისა; არც ტენდენციების ზღვაში ჩაფლულა იგი. ზოგიერთს ვაუბატონს ყოველი კეთილი გრძნობა, განზრახულება და ცოცხალი საქმის სამსახური დაწყევლილი ტენდენცია გონია...“ („მოამბე“, 1898 წ. № 4, წერ. „ორმოცდაათი წელიწადი ბესარიონ გრიგორის-ძე ბელინსკის გარდაცვალების შემდეგ“).

ხომლელი ლიტერატურულ მოვლენებსა და პროცესებს ყოველთვის უკავშირებდა საზოგადოებრივი ხასიათის ფაქტებს. მისი წარმოდგენით, თანახმად, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარი ფაქტები საბოლოო ანგარიშში გავლენას ლიტერატურულ ცხოვრებაზედაც ახდენენ. ამიტომ იყო, რომ იგი გასული საუკუნის 80-90-იანი წლების ქართული ლიტერატურის განვითარების შესახებ სწერდა: „ჩვენში სხვადასხვა მიმართულებათა წარმოშობა, უკეთ ვსთქვათ, ესეთი გამრავალგვარება ლიტერატურისა, შედეგია თვით ცხოვრების გართულებისა და გამრავალგვარებისა. დღევანდელი ჩვენი ცხოვრება ძლიერად დაიძრა, აღფოდა, სრულიად ახალი ელემენტები გაჩნდენ მასში და ეს ელემენტები ებრძვიან ჩუმად, მაგრამ ძლიერად, ფაროულად, მაგრამ მედგრად ყოველს ძველს, წრეს გადასულს და დამყაყებულს, ყოველგან ყოველს წრეში, ყველა კლასებში გაჩნდა ფაცა-ფუცი, მოუსვენარი ელემენტები, რომელთაც ციებ-ცხელება გასჩენიათ და ეძებენ ცხოვრების ახალს ნათესაყუდელს და ასპარეზს... ეს ამბავი, რასაკვირველია, ჩვენი ახლად გამოფხიზლების, ერის სიცოცხლის და მოძრაობის ნიშანია; საბუთია იმისა, რომ ჩვენი ერი, დღეინდელი სოციალური პირობების თანახმად, სამოქალაქო მოქმედების ასპარეზზე გამოვიდა, ამოძრავდა და ამ მოძრაობის შეჩერება ამიერიდან ყოვლად შეუძლებელია, როგორც შეუძლებელია მთიდან მოხეთქილი ნიაგრის შეჩერება“ („აკაკის კრებული“, 1899 წ. № 9, წერ. „კრიტიკული შენიშვნები“).

ხომლელის ლიტერატურულ-კრიტიკული წერილების საგრძნობ ნაწილს დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა. საჭირო და სასარგებლო იქნება, რომ ქართული კრიტიკის სხვა თვალსაჩინო წარმომადგენლების ნაწერებთან ერთად გამოიცეს მისი რჩეული ნაწერების კრებული.

შალვა აფხაიძის ლექსები

ერ. ასტვაცატუროვი

შალვა აფხაიძე ეკუთვნის იმ მწერალთა რიცხვს, რომელნიც ზედმეტი ხმაურის გარეშე ერავალფეროვან ლიტერატურულ-შემოქმედებითს მუშაობას ეწევიან. თავმდაბლობა და ხნტენსივობა, — ეს პატივსაცემი თვისებები ჭეშმარიტი მწერლისა, — ამშვენებენ შალვა აფხაიძის შემოქმედებითს პრაქტიკას. მისი პოეზიისათვის ყოველთვის დამახასიათებელი იყო ის, რომ ავტორის პირადი „მე“ არ გამოდიოდა წინა პლანზე. ეს „მე“ არ თავმომწონეობდა თავისი გარეგნობით, ორგანიულად ჩაქსოვილი და შერწყმული იყო ის ლექსის საერთო მოტივებთან, მის შინაბუნებასთან. ამ ძირითადი თვისებებით გამოირჩეოდა პოეტი თავიდანვე იმ ლიტერატურული „სკოლის“ თანამოკალმეებისაგანაც, რომელსაც იგი წარსულში ეკუთვნოდა.

ეს თავისებურება არ იყო შემთხვევითი ხასიათისა და იგი არ გამომდინარეობდა მხოლოდ პოეტის ადამიანური ღირსებებიდან. შ. აფხაიძის პოეზია შეიცავდა თავისში რეალიზმის ჯანსაღ, რაციონალურ მარცვალს, რომელიც ძლევამოსილი სოციალისტური მშენებლობის ზეგავლენით თანდათან განვითარდა და გაფართოვდა. პოეტის „მე“, — მისი ინდივიდუალური ინტერესი უშუალოდ დაუკავშირდა საზოგადოებრივ ინტერესს. საზოგადოებრივი „მე“ გახდა განმსაზღვრელი და გამომხატველი პოეტის საერთო ხასიათისა და მიდრეკილებისა, მისი აზრისა და განცდებისა. სოციალისტური რევოლუციის შემდეგ შ. აფხაიძე ადვილად გამოვიდა რეალისტური ხელოვნების შემოქმედებითს გზაზე და შეითვისა საბჭოთა ლიტერატურის იდეურ - შემოქმედებითი პრინციპი. პოეტის უკანასკნელი წლების ლექსები გულწრფელი სიხარულის ამღერებაა.

ისტორიულ თემებზე დაწერილი ლექსები—ციკლიდან „ბედი ქართლისა“, გამოირჩევიან პოეტური კოლორიტით, თემის შინაგანი ინტიმის გრძნობით და შემოქმედებითი ფანტაზიით. ამ ლექსებში ყველაზე მეტად იგრძნობა ავტორის პოეტური ნატურა, თემისადმი მისვლის მხატვრული უშუალობა, ლირიკული სითბო და წარმოსახვის გმირული პათოსი.

ისტორიულ ლექსებში ასახულია საქართველოს წარსული, რომელიც სავსეა ხალხის გმირობითა და ტრაგიკული მომენტებით. ურიცხვი გარეშე დამპყრობელისაგან მრავალჯერ დარბეული და გათელილი საქართველო ყოველთვის გაუტეხელი იყო, რადგან მის ხალხში გარდუვალად ცოცხლობდა მღელვარე სული და დაუფარავი პერსპექტივა მომავალი გამარჯვებისა. გმირობა პოეტის ლექსებში ემსახურება ერთ ცენტრალურ იდეას, იმას, რომ ხალხი მარადიულია, მასში ყოველთვის ცოცხლობა თავისუფლების სიყვარული. ეს სიყვარული ალამაზებდა საქართველოს წარსულსაც. ქართველი ხალხი შეუპოვრად უმკლავდებოდა გარეშე დამპყრობელთ და ვაჟკაცურად იცავდა საკუთარ მიწა-წყალს, წინაპართა გმირულ ტრადიციებს:

„საყვარელ ქვეყნის მძიმე მიწა გაათბო
ოფლით,
ცრემლი უნახავს მას მჭუხარე, სატკბო —
პატარა.
სისხლიან წლებზე დროშა მაინც
გადმოატარა
და სდარაჯობდა მის ვრცელ კალთებს
კაეიან თოფით“.

ხალხთან ერთად უკვდავნი არიან ის გმირებიც, რომლებმაც თავი შესწირეს სამშობლოს თავისუფლების ინტერესებს. ლექსი „ცხრა ძმა ხერხეულიძე“ ამ იდეის უშუალო შთაგონებითაა დაწერილი. ვაჟკაცურად დახოცილ ხერხეულიძეების სახეები ხალხმა შემოუნახა თაობებს და უკვდავყო ისინი:

„და რომ დაეცნენ მამულისთვის გმირულ
ბრძოლაში —
ფრთები გაშალეს რაინდებმა ხალხის
ჩსოვნაში“.

სამასი არაგველის სიკვდილში პოეტმა გვაგრძნობინა სამშობლოსათვის თავგანწირვის სილამაზე. ლექსში „სამასი არაგველი“ დამარცხების განწყობილებაა გადმოცემული, მაგრამ ისეთი უშუალობითა და შინაგანი გმირული პათოსით, რომ მკითხველში იღვიძებს დაოუპულთადმი პატივისცემის ასეთი გრძნობა:

„აღარ სდარაჯობს დახრილ დროშას
ფრთიანი ლომი
და მხოლოდ მთვარე ფერადაცლილი
ანათებს ციდან.
ჰყრია დიდ ველზე დაღუპული სამასი
გმირი,
როგორც გრიგალით მოთხრილ მუხის
სამასი ძირი“.

ლექსში „გიორგი საკაძე“ გახსნილია გმირის ტრაგიკული ბედის პატრიოტული შინაარსი. ორ უკანასკნელ სტრიქონში:

„დასტოვა სევდით სოფლის ღელვა,
ცდუნება, ენება
და გაჰყვა მხოლოდ საქართველოს მას
ერთგულება“.

ჰგრძნობთ გ. საკაძის მთელ ტრაგედიას, მის დაუცხრომელ სიყვარულს სამშობლოსადმი, რომლის მიტოვებაც შინაურმა მტრებმა აიძულეს.

ისტორიულ თემებზე დაწერილ ლექსებში პოეტი მოვლენებს ზოგჯერ საკუთარ გაშუქებას აძლევს, რაშიც შეიძლება არ დაეთანხმოთ, მაგრამ საერთოდ იგი პრინციპულად სწორ თვალსაზრისზე სდგას.

შ. აფხაიძის ლექსების მთავარი თემაა თანამედროვეობა, განახლებული სამშობლო, რომელსაც იგი ისტორიულ წარსულთან დაპირისპირების ფონზე გვიხატავს, რათა უფრო რელიეფური გახადოს მისი დღევანდლობის მომხიბვლელი სილამაზე, საბჭოთა გმირები და სოციალისტური პატრიოტიზმი, როგორც საბჭოთა ადამიანების გმირობისა და სიმამაცის სათავე, სოფლისა და ქალაქის სახეშეცვლილი და აყვავებული ცხოვრება, თანამედროვე პეიზაჟები, ინტერნაციონალიზმი, სიყვარული და სხვ.

პოეტს მთელი რიგი ლექსები აქვს მიძღვნილი ხალხთა დიდი ბელადებისადმი — **ლენინისა** და **სტალინისადმი**, მათი გამოჩენილი თანამებრძოლებისადმი. **ლენინისა** და **სტალინისადმი** მიძღვნილ ლექსებში გამოხატულია მთელი საბჭოთა ხალხის სიყვარული და ერთგულება ბელადებისა და მათი დიადი საქმისადმი.

შ. აფხაიძის ლექსების წიგნი, რომელიც ეხლახან გამოსცა „ფედერაციამ“, იხსენება ლექსით „ორი სურათი“. ეს არის **ლენინისა** და **სტალინის** სურათები. პოეტი შეჰყურებს სურათებს და გული ევსება სიხარულით, რადგან „მათში იპოვა სულმა შვება— რაც მარად სურდა“. ამ ორმა დიდმა ადამიანმა დასაბამი მისცა შეუდარებელ ბრწყინვალებას. მათ გაანათეს და გაათბეს ნამდვილი ადამიანური ცეცხლით მთელი საუკუნის მანძილზე წყვდიადითა და ყინვით მოცული ქვეყანა. ამ სიდიადით მოხიბლული პოეტი ამბობს:

„თვალს ვერ ვაშორებ, თან მიზიდავს
წმინდა რამ ძალა,
მათ სულის კაშკაშს მოკრძალებით
შევტრფი, შევხარი,
ვგრძნობ წარმიტაცა მათმა სხივმა და ხმა
მიცვალა,
ვხედავ მათშია უკვდავების თავგზისაფარი.
და მღერის გული—ფრთა ასხმული,
გაშლილი, ვრცელი,
ამ ორი სახის სიყვარულით აღუსებელი“.

აზრის სიცხადით, გრძნობათა სიჭარბითა და გულწრფელობით აღსანიშნავია „მავზოლეი“. ამ ლექსში პოეტი უმღერის **ლენინის** უკვდავების ძალას. აქ პოეტს **ლენინის** გენიის ნათელი სახე აქვს გააზრებული. ლექსის მთავარი იდეა ისაა, რომ **ლენინი** კვლავ ცოცხალია, ის არის შთაგონება ყოველი ახალისა და უდიდესი გამარჯვებისა ჩვენს ქვეყანაში. საბჭოთა ადამიანები სასწაულებს ახდენენ ქარხნებში, საკოლმეურნეო მინდვრებზე, გარეშე მტრებთან გმირულ ბრძოლაში, და ისინი მთელი ამ მდიდარი ცხოვრების მანძილზე მოქმედებენ **ლენინის** გენიის შთაგონებით.

გმირული პათოსით, უშუალობითა და ოპტიმიზმით გამოირჩევა ლექსი „ქოხი“. ამ ლექსში პოეტი ადიდებს იმ პატარა და ღარიბულ ქოხს, სადაც „დიაბადა უკვდავება დაუძინარი, როგორც რიყოაჟი მზის პირისკენ რომ მიიწევდა“. ამ ქოხში გაიზარდა ის უდიდესი ადამიანი, რომელმაც „კაცთა ძმობას და სიყვარულს გაუღო კარი“. პოეტი ცდილობს თავისი აზრი, ლექსის მთავარი იდეა უფრო მკვეთრად გაანათოს ისტორიული კონტრასტებით, ძველისა და ახლის დაპირისპირებით. ამ მიზანს იგი ნაწილობრივ აღწევს, თუმცა, უნდა აღინიშნოს, ასეთ ხერხს ლექსში ბუნდოვანება შეაქვს. ლექსში არ იგრძნობა ნათლად წარსულის ის შთაბეჭდილება, რომელიც უნდა პოეტს შეჰქმნას. იქ პრიმიტიულად არის გავლებული ისტორიული პარალელები გორის ციხისა და ქოხს შორის. მაგრამ საბოლოოდ პოეტი მაინც გვიჩვენებს იმ დიდ განსხვავებას, რომელიც არსებობს მათ შორის. გორის უზარმაზარი ციხე ხალხს მხოლოდ იცავდა შემოსეულ მტრისაგან, მაგრამ მას არ შეეძლო დაეცვა ხალხის თავისუფლება. პატარა ქოხმა კი განახორციელა ხალხის მრავალსაუკუნოვანი ოცნება და შემდეგშიაც „ქაცის ოცნება, გატაცება, გმირული სული საუკუნეებს ამ ქოხიდან შეებრძოლება“.

საბჭოთა პატრიოტიზმის გრძნობითა და ოპტიმიზმით არის გამსჭვალული ლექსები სამშობლოსა და თბილისზე. ეს ლექსები პოეტური მოფიქრების მხრივ მარტივია და უბრალო, მაგრამ ამ სიმარტივეშიც ბევრი უშუალო გრძნობაა, ხალასი პოეტური აზრი და ჭეშმარიტი განცდა დღევანდლობისა. მშობლიური ქვეყნის სიყვარულით გატაცებული პოეტი, რომელსაც გულის ჭრილობად მიუღია სამშობლოს წარსული ბედი, აღფრთოვანებულია იმით, რომ ახლა სამშობლო აღორძინებულია, რომ „ყოველი წამი მის სუნთქვაში სასწაულია“, მის სახეს შუქი მოჰფენია და უფრო მეტად გალამაზებულა ისედაც სილამაზით ცხობილი საქართველოს ბუნება. პოეტს ხიბლავს „წმინდა მიწა, დღეს ამდგარი სიტურფე ველის“. თავის ოპტიმისტურ აზრს განახლებულ სამშობლოზე პოეტი უფრო რელიეფურად გადმოგვცემს ლექსში „თბილისს“. წარსულში მრავალჯერ დაცემული და მტრებისაგან აოხრებული, ფერფლად ქცეული და გაპარტახებული თბილისი ახლა უმშვენიერეს ქალაქად გადაიქცა. ქვაბაც ენა აიდგა და **ლ. ბერიას** ზრუნვით ერთ-ერთ მოწინავე და ულამაზეს ქალაქად იქცა მთელს კავშირში. ახალი თბილისით მოხიბლული პოეტი სულ სხვა ხმაზე უმღერის თბილისსა და მტკვარს. ამ სიმღერაში იგი აქსოვს დღევანდელობის სიდიადესა და მომავლის დიად პერსპექტივას:

„მზე ხმაურით გადმოთელავს
არსენალს დაბალ კალთებს,
და თბილისი შუქში ელავს.
შუქი ძილის მტკვარს ანათებს.
მტკვარო ვარ ბაქეს: ქართლის სევდა
ჯაბირებს რომ შეაფშვენი,
შენ სინათლეს რომ აფრქვევ და
მარმარილოს ჯიღა გშვენის.
დაადგილებს შენს ნაპირებს
ზეივანი ნაირ ხისა.
ლომი ტორით დააპირებს
გადაკვეთას შენს ტალღისას,
და გაჰყვები შეფოთლილი
მწვანე კუნძულს ბალიბისას“.

საქართველოში სოციალისტური მშენებლობის მიღწევებს ასახავენ „ახალი კოლხიდა“, „ნასაკირალი“, „დამკვრელს“, „ჩაის მკრეფავი ქალი“ და მთელი რიგი სხვა ლექსები განყოფილებებიდან „მწვერვალები“, „საზეიმო“ და „ოქროს წვიმები“.

გარდაიქმნა ხალხის ცხოვრება. მაგრამ შეიცვალა არა მარტო მშრომელი ადამიანის საყოფაცხოვრებო პირობები, არამედ ბუნებაც, თითქოს ბუნებაც სიახლეს განიცდის და ისიც საერთო ზეიმს მისცემია. შ. აფხაიძის ლექსებში ბუნების გააზრება უშუალოდ დაკავშირებულია ჩვენი ქვეყნის შინაგან მოვლენებთან, საბჭოთა ხალხის მატერიალურ და კულტურულ-მორალურ მიღწევებთან. პოეტის მიერ აღწერილ ბუნების მოვლენებშიც გრძნობთ განახლებული ცხოვრების მაჯისცემას, ბედნიერი ადამიანის სიხარულს. ჩვენს ქვეყანაში აღმოიფხვრა ყველაფერი ის, რაც ადრე სევდასა და ნაღველს იწვევდა. პესიმიზმის ნაცვლად საბჭოთა პოეზიის მთავარ მოტივად ოპტიმიზმი გადაიქცა. საზეიმო განწყობილებაა ხალხშიაც და ბუნებაშიაც:

„მივყვებით წითელ ნერგების კალთას
და სურნელოვან ჰაერის ტალღებს.
ბუნებას ლხინი აქ გაუმართავს,
აქ დაუყრია ჩრდილები ბაღებს“.

პოეტი მარტო ბუნებაში არა ხედავს „ეპოქის ხალისს“. „თუ შთაგონება იწვის და არის, — ამბობს იგი, — თუ ვაჟკაცური ოცნება ფრინავს, ცრემლშიაც ნახავ ეპოქის ხალისს“. ეპოქის სიხალისეა ის მთავარი, რაც იქცევს განსაკუთრებულ ყურადღებას შ. აფხაიძის პოეზიაში. ეს სიხალისე იდეურობასთან ერთად მის ლექსებში მხატვრულ სიცხადესა და რომანტიკულ სიცოცხლესაც მატებს. ასეთ ლექსებში იგრძნობა ყველაზე მეტად პოეტის მხატვრული პოტენცია, მისი პოეტური სულის რომანტიკული ძალა.

ამასთან ერთად შ. აფხაიძის ლექსში პრომატი ყოველთვის გონების ელემენტს ეკუთვნის. ეს არ არის ცუდი, მაგრამ გონებრივი ელემენტი ბუნებრივად უნდა ერწყმოდეს პოეტურს და ჰქმნიდეს მთლიან, სრულყოფილ მხატვრულ ნაწარმოებს. ლექსს უნდა ახასიათებდეს არა მარტო აზრობრივი, არამედ მხატვრული მოფიქრების სიახლეც. ლირიკულ ლექსს უნდა ჰქონდეს შინაგანი ორიგინალური ინტიმი. ამის გარეშე ძნელია ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ პოეტის საკუთარ მხატვრულ სამყაროზე. აზრთან ერთად ლირიკულ ლექსში წინაპლანზე უნდა იდგეს ფსიქოლოგიური სიმძაფრე, განცდათა სიუხვე, სულიერი აფექტის ძალა და მხატვრული ორნამენტების მრავალფეროვანება. ეს ღირსებები აქვს შ. აფხაიძის მთელ რიგ ლექსებს, მაგრამ ნაწილი მისი ლექსებისა, პოეტური მოფიქრების თვალსაზრისით, დაწერილია ერთი პლანით.

შ. აფხაიძის ლექსებს ახასიათებს თემატიკური მრავალფეროვნება, მაგრამ რატომღაც ვერ შევ

ი ვ ა ნ ფ რ ა ნ კ ო

უკრაინის ხალხს
(პოემის „მოსეს“ პროლოგი)

ი. ფრანკო

მრავალტანჯული ჩემი ხალხი, დამარცხებული
შეზიზღებული, უპატრონოდ დარჩა გზაშივე,
როგორც საყარი, დავრდომილი, ლანდად ქცეული.

ვფიქრობ შენზე და ბედისწერა შენი მაშინებს,
იგი სირცხვილი არ მასვენებს გულის დამწველი,
რომელიც დასწვავს მომავალში კაცთა ნაშიერს.

ნუთუ გიბრძანებს შენი სჯულის წიგნის დამწერი,
სხვების მიწაში ნაკელივით იყო ჩახნული,
სხვების ურემში მუდამ იყო ხარი გამწევი!

ნუთუ ვერასდროს ვერ გამოსთქვა ზიზღი მალული,
მტრობის მაგიერ მტერს მორჩილად ფეხქვეშ ეგები,
ეთილისმები, ვინც გათელა შენი მამული

და ბორკილებით შეგიჭედა გამრჯე ხელები.
როდის გახდები საკუთარი ბედის მჭედელი,
რომ ტყვეობიდან გამოიხსნა ებრაელები!

ნუთუ ამაოდ ჩვენი გული დაუშრეტელი
შენდამი წმინდა სიყვარულით იყო გამთბარი?!
ჩვენივე ძვლებით შემოგავლეთ მტკიცე კედელი;

ნუთუ ამაოდ სისხლით მოვრწყეთ შენი მთაბარი,
და შენი ძალა, სილამაზე, მუდამ ქებული,
დარჩება როგორც მოგონილი ძველი ზღაპარი?!

არ გაცვეთილა შენი სიტყვა შთაგონებული,
ლაღი, ამაყი, მოსწრებული, ვისთვის კეთილი,
ვისთვის მრისხანე ტალღასავით აგორებული.

შენი სიმღერა წმინდა არის ცრემლის წვეთივით,
მან შეგვინახა სიყვარული, დარდი, ნაღველი,
ჩვენი ოცნება და სიცილი თავაწყვეტილი.

ნუთუ მარადჟამს უნდა იყო ბედის მძრახველი?!
არა და არა! არ დაცხრება სული მედგარი,
და მჯერა ისევ ამაღლდება შენი სახელი.

ნეტა შევიცნო წამი ერთი, წამი ნეტარი,
სიტყვის მორჩილი... და მოვნახო სიტყვა ძლიერი, —
ქვეყნის მალამო და ცეცხლივით მოუსვენარი!

ნეტა სიმღერა შთამაგონა გულისხმიერი,
რომ მილიონებს ჩავაბარო, როგორც ფარხმალი,
და სამუდამოდ განადგურდეს მტერი ცბიერი!

ნეტა... თუმც არა, მოვვიდუნდა სიტყვა მართალი,
გულგატეხილი, შერცხვენილი და თავდახრილი
ჩვენი თაობა ვერ გახდება შენი სარდალი.

დადგება ჟამი, წამოდგება ხალხი დაღლილი
და თავისუფალ ხალხთა ოჯახს შეუერთდება,
კავკასს მისწვდება უძლეველი შენი ძახილი...

კარპატის მთებში გამარჯვების დილა თენდება:
შენც გაგახარებს საკუთარი ყანის შრიალი
და შენს კერაზე მხიარული ცეცხლი ენთება.

მიიღე ჩემგან ეგ სიმღერა კაეშნიანი,
იგი მწარეა და სავსეა მაინც იმედით...
ამობრწყინდება მომავალი შენი მზიანი,
შენს უკვდავებას საჩუქარი ჩემი მცირედი.

20 ივლისი. 1905 წელი.

თარგმნა კონ. ლოგოთეტიფანიძემ

დიდ პოეტს
იასამანი

დიდი პოეტი, მშვედლის შვილი და პატიმარი,
ქომაგი გახდი შენი ხალხის უმწარეს დღეში,
სისხლიან ბერკუტს, გადაგდებას უქადდი ხევში,
გრანიტის კლდეზე გულს გიკლავდა უცხო სიზმარი.
აწ დანგრეულა ის კლდე, თანვე მისი ზიარი
ბერკუტი მთელი ბორტებით შთანთქმულა ბნელში,
შენ რომ კრულავდი შეუპოვრად გაბედულ ლექსში,
დიდი მებრძოლი, უდრეკელი კამენიარი.[2])
იყავი ხალხის ღვიძლი შვილი, რომლის ძახილი,
გულად სტრიქონთა მეღერ ბგერებში გამოსახული,
გულს უგმირავდა მტერს, ვით სანდო, ბასრი მახვილი,
დღეს შენი ღვაწლი უკვდავების სხივთა მჩენია.
შენსა სამშობლოს წინ მიუღვის დიდი გენია,
შენ მთელი ხალხის სიყვარული შემოგფენია.

[2]) ქვის მტეხელი. ლექსის „კამენიარი“-ს საფუძველზე ფრანკოს დიდ კამენიარს უწოდებენ.

მზადება საიუბილეო დღეებისათვის
ივან ფრანკოს თხზულება ქართულ ენაზე

უკვე ითარგმნა და წარმოებას გადაეცა ივან ფრანკოს რჩეული ლექსები, პოემები და მოთხრობები, რომლებიც სამ ტომად გამოდის. ერთ ტომს სცემს „ფედერაცია“, მეორეს—სახელგამი, მესამეს—საბლიტგამი.

ლექსებისა და პოემების მთარგმნელნი არიან: გრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, გ. გაჩეჩილაძე, დ. გაჩეჩილაძე, რ. გვეტაძე, ს. ეული, ხ. ვარდოშვილი, იასამანი, კ. ლორთქიფანიძე, ა. მაშაშვილი, ი. მოსაშვილი, მ. პატარიძე, ს. ფაშალიშვილი, ს. ჩიქოვანი, გრ. ცეცხლაძე.

მეორე ტომი—რომანი „ბორისლავი იცინის“ მთლიანად სთარგმნა ვ. წულუკიძემ.

მესამე ტომი — რჩეული მოთხრობები სთარგმნეს ი. აგლაძემ, შ. დადიანმა, ი. ზურაბიშვილმა და დ. შენგელაიამ.

ყოველ ტომს დაერთვის ივან ფრანკოს ცხოვრებისა და შემოქმედების მიმოხილვა.

სამივე ტომი გამოვა იუბილეს დღეებისათვის.

ფრანკოს ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო

შაბათს, 31 მაისს, მწერალთა კავშირის კლუბში გაიმართება უკრაინის დიდი მწერლის ივან ფრანკოს ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო.

საღამოს შესავალი სიტყვით გახსნის **სანდრო ეული.**

პოეტის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე მოხსენებას გააკეთებს **მ. იასამანი.**

სიტყვებით გამოვლენ: **ივ. წულუკიძე, დ. შენგელაია.**

პოეტის ლექსების თარგმანებს წაიკითხავენ **ი. აბაშიძე, გრ. აბაშიძე, გ. გაჩეჩილაძე, დ. გაჩეჩილაძე, რ. გვეტაძე, ვ. გორგაძე, ს. ეული, ხ. ვარდოშვილი, მ. იასამანი, კ. ლორთქიფანიძე, მ. პატარიძე, გრ. ცეცხლაძე, ს. ჩიქოვანი.**

გამოფენა საჯარო ბიბლიოთეკაში

კ. მარქსის სახელობის საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაში გაიხსნა უკრაინელი მწერლის ფრანკოსადმი მიძღვნილი დიდი გამოფენა. გამოფენილია ფრანკოს სხვადასხვა გამოცემა რუსულ და უკრაინულ ენებზე, კრიტიკული წერილები, გაზეთები, ქართული თარგმნები და სხვა.

ივან ფრანკო
სანდრო ეული

დიდი პოეტი და მებრძოლი ივანე ფრანკო,
ვინაც ლექსებში გრიგალივით აამეტყველა
დიადი რწმენა დაუძლეველ ქარიშხლად დარგო,
ვისაც უსმენდა მზიური დღის მონატრე ყველა —
ჩვენგან მოითხოვს დიად დღეზე ველაპარაკოთ, —
ძველი ცხოვრება როგორ იქცა ამ ქვეყნად მტვერად,
შრომის სამყარო ხალხთა ძალამ როგორ ააგო,
როგორ მორთულა, მოკაზმულა ის ათასფერად!
ერთი წლით ადრე გადაუდგა სიკვდილი გზაში,
ვიდრე ინათა ოქტომბრის მზემ ჩვენს ქვეყანაში,
დღეს ვარსკვლავივით ბრწყინავს იგი უკრაინაში,
დღეს ჩვენს სამშობლოს ყველა ხალხი მის სახელს
ამკობს. —
რასაც ელოდა, ამის მეტი რალა ინატროს, —
დიდება პოეტს, კამენიარს, ივანე ფრანკოს...

კოზღარევსკი
ი. ფრანკო

თოვლიან მთაზე ბინა დასცა ლაღმა არწივმა,
ზის და გასცქერის შორეული ლაჟვარდის ბზინვას.
უცებ აფრინდა, ფრთა შეახო უხსოვარ ყინვას
და ფრთებგამლილმა მოკამკამე ცა შეარწია.
მოსწყდა ყინული, თოვლის ზვინზე ჩამოტეხილი,
ბორდა ზვავი და კლდეებზე დაქანდა ზარით,
გასჭრა ნამქერი, შეანგრია ათასი კარი
და ნაპრალებში აღრიალდა შემდეგ მეხივით.
კოტლარევსკიმაც ერთ დროს ასე დაიწყო მღერა,
უკრაინულ ლექსს დაატანა სითბო პირველი.
ჰგავდა ხუმრობას ზოგჯერ მისი სიმღერის ღერა.
აქ სჩქეფდა მისი დიდი ძალა დაუდეგარი.
აანთო ცეცხლი და ეს ცეცხლი გასაკვირველი
დღესაც ანთია, რომ გაათბოს ყველა ჩვენგანი.

თარგმნა ი. მოსაშვილმა

ჰიმნი „მარადი რევოლუციონერი“
ი. ფრანკო

მარად მებრძოლი და ამბოხარი —
სულით და ხორცით მტერთან შემბმელი,
თავისუფლების, შვების მძებნელი,
ის ცოცხალია, არ არის მკვდარი.
ვერც მღვდლისგან ტანჯვამ განუწყვეტელმა,
ვერც ბოროტ მეფის ციხის კედელმა
ჯარმა მრისხანემ, რკინის მკვნეტელმა,
ქვემეხმა, კაცთა ხორცის მფლეთელმა,
და ვერც ჯაშუშის შავმა ხელობამ
ვერ მოახერხეს მისი მკვლელობა.
სცოცხლობს, სამარეს არ ჩაბარდება
ათას წლის უკან დაბადებული,
იზრდება ისევ თავდადებული
და ამაყ ძალით მოემართება.
მოდის პირდაპირ, მტკიცე, მედგარი,
მოდის სინათლის გზაზე შემდგარი.
სიტყვას გაჰყივის, როგორც იომებს,
თვისკენ ეძახის ხალხს, მილიონებს,
მოსდევს ხალისით მილიონებიც,
ხმა რომ მოესმით გულსჩამგონები.
ამ ხმას სცოდნია ქვეყნად მოდება,
იგი გლეხკაცის ქოხებს დასძებნას,
მას ხელოსანთა ისმენს დაზგები,
სადაც ცრემლია, წვა და გოდება.
და სადაც მისი ისმის ქუხილი,
ჭქრება ვაება, დარდი, წუხილი,
სიმხნე, სიმტკიცე დაიბადება,
მოთქმა კი არა, დუღს თავდადება,
რომ შვილებს მაინც, თვითონ თუ არა,
შვება ეღირსოთ ბრძოლაში მარად.
მარად მებრძოლი და ამბოხარი —
მეცნიერება, აზრი, მხილება,
იგი ბნელს აღარ ემორჩილება,
ვეღარ შებოჭონ ხმა ბობოქარი.
დროა, ბოროტის ლეწვა ინება,
მოდის, მეწყერად მოეზვინება,
ქვეყნად რა ძალა შეერკინება,
რომ შეაჩეროს მისი დინება,
და რამ ჩააქროს ცეცხლი დიადი,
ამომავალი დღის განთიადი.

თარგმნა ირაკლი აბაშიძემ.

ნ ა მ წ ყ ე მ ს ა რ ი

ი. ფრანკო

მიწის ქვეშ, ასი მეტრის მანძილზე ზედაპირიდან, ათმეტრიანი ხვრელის სიღრმეში, შეხუთულ და ნავთის ანართქლით გაყღენთილ ჰაერში ოფლსა ღვრის მუშა. იგი ზედი-ზედ სცემს წერაქვს შლამიან ქვას და ნაცრისფერ ნატეხებს აცლის მას. მაგრამ ქვა მაგარი და ძუნწია, თავისი სხეულის მხოლოდ პატარა ნაკვეთებს იმეტებს. წერაქვის ყოველი დარტყმის შემდეგ იგი ყრუდ გუგუნებს და კვნესის, თითქოს ტირისო, თითქოს იმუქრებაო; იგი მყრალ ოფლში იწურება, მაგრამ მაინც არ ნებდება, ჯიუტობს და არ იმეტებს ფარულ საუნჯეს. მუშა, ზორბა ვაჟკაცი, რომელიც სულ რამდენიმე დღეა მთიდან ბორისლავში ჩამოვიდა სამუშაოდ, თანდათან ბრაზდება.

— ჰეი! — წამოიძახა მან და ლონივრად მოუქნია წერაქვი ჩაღრმავებულ ადგილს, რომელსაც მანამდე რამდენჯერმე ჩაჰკრა წერაქვი, მაგრამ ვერც ერთი ნატეხი ვერ მოაგდებინა: — აი ამოგივარდეს სახსენებელი! როდემდის უნდა იჯიუტო? გაუშვი რაღა!

და მთელი ძალ-ღონით დააწვა წერაქვს, რათა ჩამოეცალა კლდისათვის ნატეხები.

ბოლოს კლდე დანებდა, და მან ორივე ხელით აიღო ნატეხები და ბადიაში ჩაყარა.

— გასწი იქითკენ, ეშმაკებისაკენ! გადი დღის სინათლეზე, იგემე მზე! — თან მუშაობდა და თან ლაპარაკობდა. — ჰო, ჰო, არ გიხუმრები ჩემო კეთილო. ჩემთან ხუმრობა არ გამოგადგება, მე ისეთი რამეები მომიგვარებია, რომ შენ იმათთან სახსენებელი არც კი ხარ. შენ არ იცი, რას ნიშნავს შვიდასი ცხვარი, ეს ნატეხების რაღაც ბროვა ნუ გგონია შენ! დიაღ, ჩინებულად ვუძღვებოდი ჩემ საქმეს.

და მან ყურით ბადია ასასვლელიკენ წაიღო, ბაგირზე ჩამოკიდა, რომ ზევით აეზიდათ იგი, მერე ცარიელი ბადიით უკან დაბრუნდა და მუშაობა განაგრძო.

მისი ფიქრი ცხვრის ფარას დასდევდა, მთაში დანავარდობდა, საძოვრებზე დახტოდა, და რათა მარტოობა და სიბნელე დაეძლია, ერთობოდა ამ ფიქრებით, ელაპარაკებოდა თიხას, წერაქვს, ცარიელ ბადიას და ცულს, რადგან მხოლოდ ესენი შეადგენდნენ მის საზოგადოებას ამ ღრმა ჯურღმულში.

— შენ გგონია, ალბათ, ჩემო კეთილო, რომ შვიდასი ცხვარი უმნიშვნელო რამეა. ესენი ხომ ცოცხალი არსებები არიან, ყველას ხომ თავისი ჭკუა-გონება აქვს. რა თქმა უნდა, დიდი ჭკუა არა აქვს ცხვარს, უტყვია იგი, მაგრამ მაინც ჭკუის პატრონია, ისეთი ჭკუისა, როგორიც ღმერთმა უბოძა. გაიხედავ და ტყეში შევა ან ხევში ჩაეშვება. მაგრამ ფარა ყოველთვის ერთად არის, აქეთ-იქით არ იფანტება მსხვილფეხა პირუტყვივით, მუდამ შეჯგუფებულია. მაშ!

სწორედ ეს უნდა ჭორდბაცაცა დათუნიას. იმასაც ჭკუა აქვს, მერე როგორი? ტყუილად კი არ ეძახიან დათუნიას პან კულაკოვსკის. ზის სულგანაბული კუნძის უკან, უცდის, სანამ ფარა მთლად არ შევა ჯირკებში.

სკუპ მაშინ და დაერევა შეტბორებულ, თითქოს ფარიხში მომწყვდეულ ცხვარს. ყველას, გამოუკლებლივ ყველას მოახრჩობს. ხოლო ისინი, საბრალოები, არც კი ბღავიან, ერთად თავმოყრილნი მშვიდად ელიან სიკვდილს.

კომბლით ხელში, მხარზე თოფგადაგდებული, ქამარში სალამურ-გარჰობილი მივდევდი ყოველ დილას ცხვარს. სამი ძაღლი მყავდა, — სულ ცოფებსა ჰყრიდნენ! ერთი წინ მოუძღოდა ფარას, ორი აქეთ-იქით ედგა, უკან კიდევ მე მივდევდი.

ჰო-და, მივდევ და დროდადრო ვჩერდები. ცხვარი ფუტკარივით ედება მწვანეს. შავი გროვა, თეთრი გროვა, შავი გროვა, თეთრი გროვა. აქ მოსძოვს ბალახს, იქ მოკორტნის — და ასე სულ... ისე როდი სძოვს, როგორც მსხვილფეხა პირუტყვი — კი არა სძოვს, ბავშვივით წიწკნის მხოლოდ, თითქოს ერთობაო, თითქოს სადღაც მიეჩქარებაო. წინ ყოჩები მიდიან — კომენდანტები. საჭირო არ არის მთელი ფარის მობრუნება, საკმარისია მხოლოდ ყოჩები მობრუნდნენ. ეჰი, თქვენ — ბრრრ!

და მწყემსური შეძახილი მთელ ბნელ ხვრელში გაისმის და წერაქვის ყრუ დარტყმას უერთდება.

— ოჰ, რა კარგია, იქ, ჩვენსა, მთაში, საძოვრებზე! დიდებულია, საუცხოოა! ისე კი არ არის, როგორც აქ, თქვენსა, კისერიმც მოგ...

უნდოდა შეეკურთხებინა, მაგრამ ხელი პირზე მიიდო. მისი სული ახლა პოეზიის ატმოსფეროში იყო გახვეული. ცოცხალ და ყურმახვილ ბუნებას დაეხაროდა და ეშინოდა არ შეეღალა იგი.

— დიაღ, კარგია იქ, ჩვენსა, მაგრამ, ღმერთო ჩემო. მეყოფა ამდენი ხეტიალი და სხვათა მოჯამაგირეობა! ძალზე მიჭირდა, სხვისთვის ვღვრიდი ოფლს. მაგრამ მაინც გახსენება მახარებს... გახვალ საძოვარზე. ირგვლივ ყველაფერი ამწვანებულია. მთის თავ-ცეცხლა თავისი თეთრი თავით მიწას გაჰკვრია. აქა-იქ მოსჩანან თეთრი თავები, თითქოს ცნობისმოყვარე თვალები გამოიყურებიანო ბალახიდან და ხავსიდან. ცივა, ქარი სისინებს. მთელი მკერდით სუნთქავ. კეთილსურნელება გახრჩობს. ყველაფერი და ყოველი თავის ძალ-ღონეს გიმტკიცებს. ქვემოთ შავი კედელივით შემორკალულა ტყე, ხოლო შენ თავს ზემოთ ამართულა მთის მრგვალი მწვერვალი. მყუდროებაა ირგვლივ. მხოლოდ ცხვარი შრიალებს გვიმრაში. სადღაც ზოგჯერ ძაღლი შეჰყეფს, მწვანე კოდალა დაკაკუნებს ტყეში ან ციყვი გამოსცემს ხმას. შენ კი მიდიხარ შენთვის. აუჩქარებლად. შეჩერდები, ამოიძრობ ქამრიდან სალამურს, დაუკრავ, ააკვნესებ, დაამღერ, გული საგულეში აღარ გეტევა, თვალებზე ცრემლი გადგება... აი ამოვარდეს თქვენი სახსენებელი, აჰა!

შეუკურთხებს ზარის ხმას, რომელიც ზევიდან მოისმის. დაეშვება ცარიელი ბადია. მიაქვს ნამსხვრევები და ისტუმრებს ზევით. თითონ ცარიელი ბადიით ბრუნდება. ბრუნდება საბრძოლველად განწყობილი, რადგან შიმშილი უკვე აწუხებს. გაშმაგებული სცემს წერაქვს, აცლის დიდ ლოდებს. ოცნებაში კი დათვს ებრძვის.

— ჰეი, ჰეი, დათუნია! არ ვარგა ეგრე, არა-მეთქი. ერთი ცხვარი, ჯანდაბას შენი თავი, შემომიწირავს. მაგრამ დღეს შენ ერთი ცხვარი უკვე მოინელე, ხვალ ორ სხვას გააფშეკინებ ფეხებს, ზეგ ნახევარი ფარა არ გეყოფა. არა, ძმაო, ასეთი პირობა არ დაგვიდვია. შენა გგონია, ეს თოფი მარტო დასაშინებლად დამაქვს? იცოდე, არ დავიზარებ ღამის გათევას, აი სწორედ ამ ჯირკთან ჩაგისაფრდები. ჩემთვის სულ ერთია — სიკვდილი თუ სიცოცხლე. შენ-კი უნდა გაგისწორდე.

ორჯერ-სამჯერ მაგრა დაჰკრა წერაქვი და შეჩერდა, შეისვენა, წერაქვის ტარზე დაყრდნობილმა.

— ქურდი ხარ, დათუნიავ, ქურდი! სამი ღამე გამაწამე. ალბათ, ყნოსვით მიხვდი, — აღარ მოსულხარ. მაგრამ ვერ მომატყუე. რაკი გადავწყვეტ, აღარ დავთმობ, — ასე ვიცი. მეოთხე ღამეს მაინც მოხვედი. ბნელოდა, თვალთან თითს ვერ მიიტანდა კაცი. სოჭის ზედა ტოტებში ქარი აკვნესდა, მერე ხმაურით ქვემოთ დაეშვა. მე-კი მოკაკული ვზიავარ უზარმაზარი ჯირკის ფესვებში, თოფით ხელში. ვზიავარ და ვიცდი, ყური მახვილად მიჭირავს. უკვე მესმის, რომ მოდის, ვიცი ჩემს ცოდვილმა კაცმა სული განუტევაო, და მიწაზე გაიშხლართა. მერე ჩაგორდა იქვე წყვდიადით მოცული მახლობელ ორმოში. ვერც კი მოვასწარი ცულის ამოღება, დათვთან ერთად მეც დავგორდი. მაგრამ სწრაფად წამოვარდი, ზემოთ ამოვხტი, ხშირი ბუჩქნარი გავარღვიე. მთის ბილიკზე გავარდი, ტყე გავირბინე, ხრამს გადავეევლე. ღვია ბალახი გადავთელე და თვალის დახამხამებაზე ფარეხის კართან გავჩნდი. ვაკაკუნებ კარებს.

— შენა ხარ, პანკო? — მეკითხება უფროსი მწყემსი.

— მე ვარ, გამიღე!

წამოდგა, ფანარი აანთო, კარი გააღო.

— რა, ამბავია?

— არაფერი ამბავი არ არის, — ვეუბნები.

— დათვი გეწვია?

— მეწვია.

— მერე, წავიდა?

— არა, არ წასულა.

— მაშ სად არის?

— გდია იქ...

— რას ამბობ?! — კიდევ რაღაც უნდა ეთქვა უფროს მწყემსს, მაგრამ არ დაამთავრა: — ეგ რა მოგსვლია, ბიჭო, ფეხზე რა დაგმართნია? — წამოიძახა.

— ფეხზე?

თავათაც არ ვიცოდი, რა დამმართნოდა ფეხზე და მხოლოდ ახლა დავინახე, რომ მთელი ქალამანი და შესაკრავები სისხლით იყო შეღებილი. უკან მივიხედე — სისხლის კვალი იყო გავლებული. ერთხელ, მხოლოდ ერთხელ დასწვდა დათუნია თავისი თათით ჩემს ფეხს და ერთბაშად გაგლიჯა ქალამანიც, შესაკრავებიც და ფეხიც ძვლებამდე. როდესაც ქალამანი გამაძრეს, გული წამივიდა, — ბევრი სისხლი დამეკარგნა თურმე. მაგრამ.—მადლობა უფალს! — უფროსმა მწყემსმა შელოცვა იცოდა, სისხლი შემიჩერა, მერე რაღაც მალამო დამადო და ერთი კვირის შემდეგ უკვე ფეხზე ვიყავი. დათვი-კი მეორე დღეს მკვდარი ნახეს, თავში ჩარჭობილი ჩემი ცულით.

კვლავ მოისმის ზარის ხმა, კვლავ ეწევა ზევით მუშა სავსე ბადიას და უშვებს იქიდან ცარიელს. კვლავ აყრუებს ჯურღმულს ნამწყემსარი არა მარტო თავისი წერაქვის კაკუნით, არამედ თავისი სიტყვების ხმაურით, თა-

(დასასრული მე-4 გვ.).

ბუნების მხატვარი

გიორგი გაგუნია

საქართველოს იმ მხატვრებს შორის, რომელთაც საფუძველი ჩაუყარეს ქართულ მხატვრობასა და ფერწერის კულტურას, განსაკუთრებული ადგილი, როგორც პეიზაჟის ოსტატს, ალ. ციმაკურიძესაც უნდა დაეთმოს.

ციმაკურიძემდე პეიზაჟს ქართულ მხატვრობაში დამოუკიდებელი და გადამწყვეტი როლი არ უთამაშია. წინად პეიზაჟი იწერებოდა ფონად მეტწილად ფიგურებიან კომპოზიციებში და ისიც ხშირად მოკლებული იყო ინტიმურობასა და განცდებს. ამ შემთხვევაში გამონაკლისად უნდა მივიჩნიოთ პროფ. მ. თოიძე, რომლისთვისაც ფონი, პეიზაჟი, დამხმარე ფაქტორს კი არ წარმოადგენს სურათში, არამედ დამოუკიდებლად ცოცხლობს. მისი პეიზაჟი სავსეა განცდებით და ინტიმობით და ეს სურათს ყოველთვის ემოციურობას ჰმატებს. პეიზაჟი, როგორც დამოუკიდებელი ჟანრი, ქართულ მხატვრობაში გამოიყო 900-იან წლებში. ამ ჟანრის პიონერს ა. ციმაკურიძეს მოჰყვნენ ახალგაზრდა მხატვრები—ხმალაძე, წერეთელი და სხვები.

ალექსანდრე ციმაკურიძე დაიბადა 1882 წელს სოფ. ქვიშხეთში, გლეხის ოჯახში. პირველდაწყებითი სწავლა ხაშურში მიიღო. შემდეგ, მხატვრობით გატაცებული ალექსანდრე „მხატვრული ხელობის“ შესასწავლად გამოჩენილ პირველ ქართველ გრავიორს გ. ტატიშვილს მიაბარეს. ტატიშვილთან ციმაკურიძე პირველად გაეცნო ხატვის ელემენტარულ ხერხებს, შემდეგ კი გრავიურის ტექნიკას. მაშინ ტატიშვილი მუშაობდა თავის ქართულ ანბანზე, რომლის სლამაზე და დეკორატიულობა ხშირად მიტაცებდაო, — ამბობს ალ. ციმაკურიძე.

ნახევარი წლის შემდეგ ციმაკურიძე უკვე დამოუკიდებლად ხატავს რებუსებს, ასომთავრულებს, სხვადასხვა პატარა საგნებს და ბევრ სხვა რამეს ხაბავშვო ჟურნალ „ჯეჯილისათვის“. ტატიშვილთან მეცადინეობის შემდეგ ციმაკურიძე შედის ავლაბრის ექვსკლასიან სკოლაში და დროდადრო ღებულობს ხატვის გაკვეთილებს კერძო სამხატვრო სკოლაში, სადაც მასწავლებლობდნენ გამოცდილი მხატვრები — გიგო გაბაშვილი, ო. შმერლინგი, ბ. ფოგელი, ე. თათევოსიანი და სხვები.

სამხატვრო სკოლაში ციმაკურიძე წარმატებით სწავლობდა.

სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლის განსაგრძობად ალ. ციმაკურიძე „მოსკოვის ფერწერისა და ქანდაკების სკოლაში“ გაგზავნეს. 1906 წ. ციმაკურიძე ბრწყინვალედ აბარებს მისაღებ გამოცდებს. მოსკოვის „ფერწერის სკოლა“ მაშინ ერთად-ერთ საუკეთესო სამხატვრო სასწავლებლად ითვლებოდა მთელს რუსეთში. იქ ასწავლიდნენ ისეთი დიდი მხატვრები, როგორიც იყვნენ ე. ვასნეცოვი, არხიპოვი, უმცროსი ივანოვი, კასატკინი და სხვები.

1915 წ. ალ. ციმაკურიძემ დაამთავრა ვასნეცოვის კლასი სადიპლომო სურათით „ყვავილები“ და მიიღო პირველი ხარისხის დიპლომი და მხატვრის სახელწოდება. ამის შემდეგ მხატვარი ჩამოდის საქართველოში და ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას საშუალო სკოლებში. 1930 წლიდან იგი მუშაობს თბილისის სამხატვრო აკადემიაში.

ნამდვილ შემოქმედებითს მუშაობას ალ. ციმაკურიძე იწყებს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. იმ პერიოდში მან საინტერესო სურათები მოგვცა, განსაკუთრებით პატარა ფორმატის ისეთი პეიზაჟები, როგორიც არის სერია „ქვიშხეთისა და მისი მიდამოების ხედები“. ამ სერიიდან საინტერესოა სურათი „ქვიშხეთი. ქუჩა“. ხეხილით სავსე ორ ეზოს შორის გადის გზა.

ლებას, რის გამოც მხატვარი სწორად იძლევა ამა თუ იმ საგნის ფორმასა და გვიჩვენებს ფართო წერის ტექნიკის საუკეთესო ნიმუშებს. ასეთია შემდეგი ეტიუდები: „ქვიშხეთის მთებში“, „ქოხი“ და სხვები; ამავე სერიას ეკუთვნის მისი ცნობილი ტილო „ქვიშხეთის მიდამო“ (ძეტეხის მუზეუმი). მთის ფერდობზე ზანტად ამარცოლან გრუზა ხეები. მათ ძირებს ნახევრად გაკრეცილი ბუჩქები ჰფარავენ. ფირუზისფერ ცის ფონზე ხეებს ფართოდ გადაუწლიათ თავიანთი დაკლაკნილი შტოები და დაბლა გაფერკრთალებულ ბარს გადასცქერიან. მხატვარი გრძნობს ყოველ წვრილმანნიუანსსაც-კი. ოდნავ მუქ ხეებზე შეუმჩნევლად თამაშობენ მზის ბაცი ლაქები და ფოთლებს შეუმჩნეველ ნარეკლს აძლევენ.

ასეთივე საინტერესო და ძლიერი ნაწარმოები აქვს მხატვარს თავისი შემოქმედების ადრინდელ პერიოდში — ეტიუდი „ოდა“ (1914 წ.). შუადღის მზით განათებულ მიწაზე ჰყრია საშენი მასალა—ბოძები. უკანა პლანზე ოდაა, გვერდით—ღობე და მწვანე ხეხილი. სქელი ფერით თავისუფლად არის დაწერილი ოდა. რათა უფრო წინ წამოსწიოს იგი, მხატვარი „ოხრის“ ტონებით დაწერილ ოდას მუქმწვანე ფონს უპირისპირებს. ეტიუდი სულ ოთხი ტონითაა დაწერილი და მხატვარი ამითაც სიმძაფრესა და ფერების სიუხვეს აღწევს. ნიუანსთა მრავალფეროვანებასა და რელიეფის ილუზიას ჰქმნის აგრეთვე მისი სქელი წერის ტექნიკა, ვინაიდან სქელი ნაში ნორმალური განათების დროს თავის თავად იძლევა შეუმჩნეველ ჩრდილს, რის გამოც ესა თუ ის ნაწილი უფრო ცოცხლად და უფრო ფაქტურულად გამოიყურება (მაგ., აღნიშნულ ეტიუდში—კედლის ბოძები, ფიცრები, ქვები მიწაზე და სხვა).

მხატვრის პეიზაჟები ორ ჯგუფად იყოფიან — დაბა-სოფლისა და ქალაქის პეიზაჟებად. ქალაქის პეიზაჟებიდან ღირსშესანიშნავ ტილოებს წარმოადგენენ „ძველი თბილისი“, „ძველი თბილისის ეზო“, „ი. ჭავჭავაძის ძეგლი თბილისში“ და სხვები. ამ მხატვარი წერის მანერას იცვლის. იგი გრძობს, რომ ეტიუდური წერით ქალაქის პეიზაჟსა და ქალაქის არქიტექტურულ სიძველეებს ვერ გადმოგვცემს. მხატვარს აკვარელის მახერით დიხჯად და მოთმინებით გამოჰყავს „ძველი თბილისის ეზოში“ (1926 წ.) ჩუქურთმა — ჭრილი აივნის თაღებზე, კამარისა და გამირის კომბინაციები. აქ მხატვარი წყნარი კოლორიტის მისაღწევად ირჩევს უმზეო დღეს, რომლის დროსაც ჩრდილები უფრო მკრთალია, ფერი—მშვიდი და ხავერდოვანი. ასეთივე ოსტატობითაა შესრულებული მზით გახათებული „ძველი თბილისი“ (1927 წ. ბახიანი სახლი), „ქუჩა თბილისში“, „ტრამვაელების კლუბის ბაღი“ (1927 წ.) და ქალაქის სხვა პეიზაჟები.

დროდადრო ციმაკურიძე უბრუნდება სოფელს და სწერს ფერადოვან პეიზაჟებს. ახლა მხატვარს პეიზაჟებში უკვე შეაქვს—ფიგურები,—სურს გვიჩვენოს ადამიანის შრომაც. ასეთ ფიგურებიან პეიზაჟებიდან აღსანიშნავია „სომინდის რჩევა“ (1929 წ.). სწრაფი ეტიუდური წერა და თითქმის სუფთა შეურეველი ფერები „სომინდის რჩევას“ იმპრესიონისტულ ნაწარმოებად ხდიდა. ასეთი იმპრესიონისტული მანერით არის დაწერილი ციმაკურიძის ეტიუდები „აგარაკზე“ (ორივე ვარიანტი 1933 წ.), „წისქვილი“ (1934 წ.). იმპრესიონიზმი ციმაკურიძის ნაადრევ და შუა პერიოდის ზოგიერთ ნამუშევარში დიდი ოსტატების (კოროვინის, ნაწილობრივ სეროვის, ჟუკოვსკის, ვინაგრადოვის) გავლენის ნაყოფად უნდა ჩაითვალოს.

ფერების შეგრძნობას, მათ ჰარმონიულად განლაგებას და კოლორიტულობას ალ. ციმაკურიძე ვასნეცოვს უნდა უმადლოდეს. „დიდი მხატვარი ვასნეცოვი, — იგონებს ა. ციმაკურიძე,—მასწავლებლად ყოველთვის ბუნებას მოგვიყვანდა ხოლმე—მე არაფრის სწავლება არ შემიძლიან, მე მხოლოდ გიცქერით, თუ როგორ გასწავლით ეს დიდი მასწავლებელი და თვალს ვადევნებ, ვინ როგორ ითვისებს ამ მასწავლებლის სწავლებას“. „ყოველთვის, — განაგრძობს ციმაკურიძე, — ვასნეცოვი ცდილობდა ყველაფერი ბუნებიდან გვეწერა (არ უყვარდა გამოგონილი კომპოზიციები)“.

ციმაკურიძის ახალ ნამუშევრებიდან აღსანიშნავია შემდეგი ტილოები: „ბორჯომის ხეობა“ (1937 წ.) და „ქვიშხეთი“ (1938 წ.). „ქვიშხეთი“, რომელიც მხატვრის საყვარელ კარმიდამოს წარმოგვისახავს, დაწერილია დიდი გემოვნებით. აქაც მხატვრის საყვარელი კომპოზიცია და ფერებია. წინა პლანზე ჯმუხი ხეა, მეორე პლანზე — ხეხილი და მხატვრის ოდა.

მხატვრის წლევანდელ ნაწარმოებებიდან აღსანიშნავია ორი ნამუშევარი — „ქვიშხეთის მიდამო“ ანუ „მთის პეიზაჟი“ და „სასურველი სტუმრები“ (ფიგურებიანი კომპოზიცია), წარმოდგენილი საბჭოთა საქართველოს 20 წლის თავისადმი მიძღვნილ გამოფენაზე.

პეიზაჟის გარდა ციმაკურიძეს პორტრეტიც და ნატურა-მორტიც ეხერხება.

ოცი წლის ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობისთვის ა. ციმაკურიძე დაჯილდოვებულ იქნა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის სახელწოდებით. მთელი მისი შემოქმედება სავსეა სიცოცხლითა და რეალობით. ამიტომაც მას „ჩვენი ბუნების პოეტს“ უწოდებენ. სამართლიანად დაიმსახურა მან ეს სახელი. ა. ციმაკურიძემ პირველმა დაგვიხატა ჩვენი ბუნების ლამაზი სახეები, მისი თავისებურება. შზიანი საქართველოს პეიზაჟის ოსტატის შემოქმედება, რასაკვირველია, ჯერ ამოწურული არ არის. ის ჯერ საკმაოდ მხნედ ჰგრძნობს თავს და მას კიდევ შეუძლიან შექმნას ღირსშესანიშნავი და საინტერესო ტილოები.

ნამწყემსარი

დასასრული

დაბრუნდები იქიდანა
მიწის მოსახვნელად.

სცადა თავისი ბოხი მწყემსური ხმით ამ სიტყვების დამღერება, მაგრამ არა გამოუვიდა-რა. რაც ვინდა სთქვი და სიმღერა აქ, ამ ჯუჯრმულში, ას მეტრზე მიწის ქვეშ, რაღაც არ ხერხდება.

და იგი გაბოროტებული და გაშწარებული უშვენს მიწას წერაქვს. უკვე სძულს ეს მიწა, ეს შავი, მძიმე და ძალზე მაგარი მიწა, რომელიც ასე უჯიათად ეწინააღმდეგება წერაქვს.

— რამ გაგაქვავა, შე წმინდა მიწავ, ასე!—ამბობს იგი და მცირეოდენი ფიქრის შემდეგ განაგრძობს: — ვინ იცის, ხარ კი წმინდა?

შესდგა, წელში გასწორდა და ამ კითხვას ჩაუკვირდა, თითქოს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონოდეს მას.

— დიაღ, წმინდაა თუ არა? იქ, ზევით, უდავოა. იქ წყალს აკურთხებენ და ასხურებენ, საღვთო წერილს წაიკითხავენ მასზე. აქ? ალბათ, რაც დედამიწა გაჩენილა, აქამდე არ მოუღწევია არც ერთ წვეთ ნაკურთხ წყალს და სამღვთო წერილის არც ერთ სიტყვას. ტყუილად ხომ არ არის აქ შეხუთული და აშმორებული ჰაერი? ეშმაკისაგან და არა წმინდანისაგან მოდის ეს. ამ ფისიდან საეკლესიო სანთელს ვერ დაამზადებ. აშკარაა, უწმინდურებაა ეს, სიბილწე! ღმერთო, შეგიცოდე და მაპატიე! რა უნდა ადამიანს ასეთ უწმინდურ, ასეთ ბილწ ადგილას? და განა ამან სიკეთე უნდა მოუტანოს კაცს? არა, ძმავ, აქედან სიკეთე არ გამოვა. განა ის ამხანაგიც, რომელმაც აქ წამოსვლა მირჩია, არ დაიღუპა სწორედ ასეთ ჯურღმულში? თავზე მიწა ჩამოენგრა, გამოიხრჩო. გვამიც კი ვეღარ იპოვნეს მისი. უწმინდურმა ჩაინთქა! ოი, ღმერთო, მომხედე და შემიწყალე!

პირჯვარს იწერს და უფრო გულმოდგინეთ განაგრძობს წერაქვის ცემას. მუცლის ბუყბუყზე გრძნობს, რომ შუადღე მოახლოვებულია, მოელის ზარის სამჯერ დარეკას, როცა ამით ზევით ასვლას უბრძანებენ. მიუხედავად ამისა, მისი ფანტაზია განუწყვეტლივ განაგრძობს მუშაობას,—ახალ-ახალი სურათები ეშლება თვალწინ. ყველაზე ხალისით-კი იგონებს საუცხოვო, წყნარ, მოკრიალებულ დღეებს მთაში, იქაურ საძოვრებს, ტყეებს, ცხვრის ფარას, მწყემსის ცხოვრებას და მის ათასნაირ თავგადასავალს. ბედის უკუღმართობით ღრმა ხვრელში მომწყვდეული, იგი აშკარად გრძნობს, რომ იმ ღეღებმა სამუდამოდ განვლეს, რომ მისმა გზამ ყვითრად გადაუხვია სხვა მხრისაკენ, რომ მან ძველი ცხოვრებიდან ფეხი შესდგა ახალ, მისი მამაპაპისათვის უცნობ, ერთბაშადვე საშინელ და უჩვეულო ცხოვრებაში, ისეთ ცხოვრებაში, რომელიც არ არის უფრო უკეთესი, უფრო თავისუფალი, უფრო ხალვათი, ვიდრე იყო ძველი ცხოვრება. ასე, არა ერთხელ მიიმალება მზე ღრუბლებში და ზაფხულის ღრის მთელი მშვენიერებისაგან, სინათლის და ყვავილების მთელი სიმდიდრისაგან დარჩება იმდენი, რომ ოქროსფრად აციალოს დასავლეთით ჩაწოლილი მძიმე ღრუბლების კიდეები.

მთარგმნელი ილია აგლაძე.

ახალი წიგნები

„წიგნები და ავტორები“

დაიბეჭდა და გამოვიდა აკაკი გაწერელიას ლიტერატურული ნარკვევების ახალი კრებული: „წიგნები და ავტორები“.

კრებულში დაბეჭდილია აკაკი გაწერელიას მიერ 1938-1940 წ.წ. დაბეჭდილი შემდეგი წერილები: რუსეთი: 1. ტოლსტოი, 2. დოსტოევსკი, 3. ანდრეი ბელი, 4. იური ტინიანოვი. უცხოეთი: 5. სტენდალი, 6. ერიხ მარია რემარკი, 7. ერნესტ ჰემინგუეი. საქართველო: 8. სულხან-საბა ორბელიანი, 9. კავკასიური ბრძოლები ალ. ყაზბეგის მოთხრობებში, 10. დავით კლდიაშვილი, 11. ვასილ ბარნოვი, 12. კონსტანტინე გამსახურდია, 13. გალაქტიონ ტაბიძე. სცენის ცხოვრებიდან: 14. ვერიკო ანჯაფარიძე და 15. ბოლოსიტყვაობა.

კრებულში დაბეჭდილია 9 კლასიკოსის სურათი; წიგნი შეიცავს 225 გვერდს და ღირს 13 მ. 50 კ. გამოცემულია „ფედერაციის“ მიერ.

„სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია“

საქართველოს მხარეთმცოდნეობის საზოგადოებამ გამოსცა ს. მაკალათიას „სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია“. წიგნი შესდგება თორმეტი განყოფილებისაგან: 1) ძველი კოლხეთი, 2) ლაზიკა-ეგრისი, 3) ეგრისის სამეფოს დაშლა და აფხაზეთის საერისთავოს დაარსება, 4) ქართული ფეოდალური მონარქიის გაძლიერება, მისი დაცემა და ოდიშის სამთავროს წარმოქმნა, 5) ოდიშის სამთავროს სოციალ-ეკონომიური და კულტურული ვითარება განვლილ პერიოდში, 6) სამეგრელოს სამთავროს არსებობის უკანასკნელი პერიოდი და მისი რუსეთთან შეერთება, 7) ეთნოგრაფია (სოფლის მეურნეობა, მევენახეობა, მესაქონლეობა, კვება), 8) შინამრეწველობა და ხელოსნობა (ფეიქრობა, მეტეხრეობა, კალათების დამზადება, ყავრის დამზადება, მჭედლობა), 9) მატერიალური კულტურა (ციხე-კოშკები, მეგრული სახლები, ტანთჩაცმულობა, საკრავები), 10) ხალხური ჩვეულებანი (ნიშნობა და ქორწილი, მშობიარობა, გართობა-თამაშობანი, მიცვალებულის გასვენება, ტირილი და გლოვა), 11) ცრუმორწმუნეობა (კალანდა, ჯეგე-მისარონი, სალოცავები, „ოხვამერი“, ასოთ-სამღერელი, „ვაშინერსი“, შელოცვები), 12) საკულტო ადგილები და მათთან დაკავშირებული რიტუალი (ილორობა, ალერტობა, ყულის-კარი, წაჩხური, ჭვენიერობა, თერდობა).

წიგნი მრავლად არის დასურათებული. დართული აქვს რამდენიმე ეთნოგრაფიული რუქა.

„სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია“ 384 გვერდს შეიცავს და ღირს 25 მან.

სიმ. ხუნდაძის „ნარკვევები“

ფედერაციამ“ გამოსცა სიმ. ხუნდაძის „ნარკვევები“.

წიგნი შეიცავს 410 გვერდს და ღირს 20 მან. 50 კაპ.

ლიტერატურული საღამოების შესახებ

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმმა თავის უკანასკნელ სხდომაზე (1941 წ. 27 მაისს) მსჯელობა იქონია ლიტერატურული საღამოების შესახებ.

არის შემთხვევები, როდესაც სხვადასხვა დაწესებულებაში მწერალთა კავშირის პრეზიდიუმთან შეუთანხმებლად საქ. საბჭ. მწერლების წევრთა მონაწილეობით იმართება მწერალთა ლიტერატურული საღამოები. რადგან ეს ლიტერატურული საღამოები ყოველთვის არა დგანან სათანადო სიმაღლეზე და ზოგჯერ ადგილი აქვს გაუგებრობებსაც, საქართველოს საბჭ. მწერლობის კავშირის პრეზიდიუმმა დაადგინა, მწერალთა ლიტერატურული საღამოები (საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრთა მონაწილეობით) იმართებოდეს მხოლოდ საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმის სანქციით.

ახალგაზრდა პოეტების შემოქმედებითი საღამო

მეოცე საშუალო სკოლის მოწაფეებმა 17 მაისს მოაწყეს ახალგაზრდა პოეტების ალ. საჯაიას და რ. მარგიანის შემოქმედებითი საღამო.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა სკოლის პიონერ-ხელმძღვანელმა გ. შიოშვილმა.

ახალგაზრდა პოეტების შემოქმედებაზე მოხსენებით გამოვიდა ი. ნონეშვილი. მომხსენებელმა მოკლედ დაახასიათა ამ პოეტების შემოქმედება.

ალ. საჯაიას და რ. მარგიანის ლექსები წაიკითხეს ახალგაზრდა პოეტებმა გ. კალანდაძემ, ვ. სულაბერიძემ და გ. ძიგვაშვილმა.

დასასრულ, საკუთარი ლექსები წარმოსთქვეს ალ. საჯაიამ და რ. მარგიანმა.

საღამო დასრულდა კონცერტით, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს სკოლის თვითმმქმედმა ძალებმა.

„ქვიშხეთი“. ნახ. ალ. ციმაკურიძისა.

ხაზღვარგარეთ

როგორ განცხადებებს ათავსებენ ამერიკულ ღიფერაჯურულ ჟურნალში

ამერიკულ ბურჟუაზიულ პრესაში განცხადება ყოფისა და ჩვევების სარკეა. მაგრამ სერიოზულ ლიტერატურულ ჟურნალში სხვა რა სახის განცხადებები უნდა მოთავსდეს, თუ არა ახალ წიგნებზე, ჟურნალებზე და საერთოდ ლიტერატურისა და ხელოვნების მოვლენებზე.

ამერიკის კრიტიკულ-ბიბლიოგრაფიულ ჟურნალში „სატერდეი რევიუ ოფ ლიტერეჩიურ“ განცხადებების განყოფილებაში გამოყოფილია ერთი სვეტი, რომელსაც სათაურად „პირადი“ აწერია. ამ სვეტში ხშირად ათავსებენ შემდეგი ხასიათის განცხადებებს: „დამწყებო მწერლებო! თუ გინდათ, გამომცემლები კარგად იყვნენ თქვენდამი განწყობილი, მოგვმართეთ მარტო ჩვენ. გამოგვიგზავნეთ თქვენი ხელნაწერები. ჩვენ გავასწორებთ, რედაქციას გავუკეთებთ და უზრუნველვყოფთ მათს გამოცემას. ჩვენ შეგვიძლია პირადად და დაუსწრებლად ჩავატაროთ თქვენთან 10 გაკვეთილი, რომლის შემდეგაც თქვენ შესძლებთ მწერალი გახდეთ. გამომცემლობის მიერ დაწუნებული ხელნაწერები ჩვენი საშუალებით გარდაიქმნებიან საუკეთესო წიგნებად. ლაიონსის და სეტერის ლიტერატურული სააგენტო. ნიუ-იორკსიტი“.

ზოგიერთი ცნობილი ამერიკელი ჟურნალისტების აზრით, ეს „სერვისი“ უფრო გრაფომანებისათვის არის განკუთვნილი. ასეთი ლიტერატურული სააგენტოები სიამოვნებით ბეჭდავენ გრაფომანების აბდა-უბდა ნაწერებს, თუ ისინი „სათანადო ხარჯებს“ აანაზღაურებენ.

შეხვდებით ასეთ განცხადებებსაც: „ლიტერატორი, რომელსაც ისტორიული ფაკულტეტის დიპლომი აქვს, ეძებს სამუშაოს. შემიძლიან დახმარება გავუწიო მწერლებს, მეცნიერ მუშაკებს, მღვდლებს. სასწრაფო გამოკვლევების შემთხვევაში შემიძლიან გაუწევეტელი მუშაობა დღე-ღამის განმავლობაში. შემიძლია შევკრიბო საჭირო მასალა ყოველნაირ საკითხებზე: ამონაწერები, ციტატები, ბიბლიოგრაფია. მაქვს სათანადო გამოცდილება. თანახმა ვარ ვიკისრო საკანცელარიო სამუშაოც“.

ჟურნალში მოთავსებულია ახალგაზრდა პოეტის ასეთი სასოწარკვეთილი განცხადება:

„26 წლისა ვარ, მაქვს სამი ლიტერატურული ნაშრომი. შემიძლიან ვიმუშაო კანტორის მოხელედ, ბიბლიოთეკარად, მზარეულად, შოფრად“.

იმავე სვეტში მოთავსებულია ინტიმური ხასიათის „სერვისიც“: „დამწყები მწერალი ქალი, რომელსაც დიდი ლიტერატურული შემოსავლის პერსპექტივა აქვს (23 წლისაა, ამბობენ რომ ლამაზია), უნდა გაიბას წერილობითი ურთიერთობა ცხოვრებისაგან დაბრძენებულ მარტოხელა კაცთან, რომელიც ძალიან კარგად ერკვევა ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებში; სასურველია, რა თქმა უნდა, შეძლებული ჯენტლმენი, რომელსაც კარგი გემოვნება და მანერები აქვს“.

ასეთი ხასიათის განცხადებებით სავსეა ამერიკის ლიტერატურული ჟურნალი. ეს განცხადებებიც ნათლად აამკარავებენ ამერიკის ლიტერატურული ცხოვრების სახეს.

„უცნობი მერიმე“

საფრანგეთის ერთ-ერთმა გამომცემლობამ გამოსცა ფერდინანდ ბაკის წიგნი — „უცნობი მერიმე“. წიგნს საფუძვლად დაედო დღემდე გამოუქვეყნებელი საუბრები, რომლებსაც ცნობილი ფრანგი მწერალი აწარმოებდა თავის სამ მახლობელ მეგობართან: გენერალ ფლერისთან, არსენ უსესთან და მამასთან.

ბაკი აღნიშნავს, რომ პროსპერ მერიმე ლიტერატურულ წრეებში—არ უყვარდათ, მისი შემოქმედების შესახებ არაფერს ამბობდნენო, საზოგადოებაში, სადაც უნიჭობა იყო გამეფებული მახვილ და ორიგინალურ მერიმეს არა მეგობრულად ხვდებოდნენ. მერიმე თვითონ ამბობდა: „მე სასახლეში ძალიან ცოტათი მიფასებენ, უფრო ნაკლებად სენატში და სრულიად არ მაფასებენ აკადემიაშიო“ (რომლის წევრად იგი არჩეულ იქნა შარლ ნოდიეს სიკვდილის შემდეგ).

მერიმე ძალიან დაახლოვებული იყო ნაპოლეონ მესამის სასახლის კართან, უფრო იმპერატორის მეუღლის ევგენიას სალონთან. მერიმე მეტისმეტად კრიტიკულად უყურებდა სასახლის ადამიანებსა და სასახლეში არსებულ ატმოსფეროს.

მერიმე ადრე გაჭაღარავდა. როცა ამის მიზეზს ჰკითხავდნენ, იგი უპასუხებდა: „ადრე მოვხუცდი, რადგან ესოდენ სულელურ ქვეყანაში ვცხოვრობო“.

მერიმეს არა ერთხელ უთქვამს: „ყველაზე უფრო მასიამოვნებს ხოლმე საუბრის გაბმა ყველაფრისმცოდნეობით თავმომწონე ადამიანებთან რომელიმე დიდ კაცზე, რომელიც ამ ქვეყნად ნამდვილად არც კი არსებულა“. დედოფალმა იცოდა ეს და სთხოვა მერიმეს, თვალით ენიშნებინა, როცა იგი მისტიფიკაციას შეუდგებოდა. უხდობლობა მერიმესადმი იმდენად დიდი იყო, რომ ერთხელ როცა მერიმემ ლაპარაკი ჩამოაგდო კარგად ცნობილ აბატ გალეანზე, ევგენიამ კაცი გაგზავნა ბიბლიოთეკაში, შეემოწმებინა, მართლაც არსებობდა თუ არა ასეთი აბატი.

მერიმეს მრავალი მახვილი შეფასება ცხადყოფს, რომ მწერალი გრძნობდა ნაპოლეონ მესამის არა მყარ მდგომარეობას. სასახლესთვის მას არა ერთხელ უწოდებია მასკარადი.

ბაკის წიგნში მოთავსებული საუბარი მერიმესი მეგობრებთან ამდიდრებს ლიტერატურათმცოდნეობას მწერალზე ახალი ცნობებით. ამასთან ერთად იგი მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის საფრანგეთის ყოფისა და ცხოვრების საინტერესო დოკუმენტია.

კულტურულ ღირებულებათა განადგურება

ინგლისური გაზეთები ვერ ახერხებენ იმის დამალვას, რომ კულტურის ძეგლებს ომმა დიდი ზარალი მიაყენა. გაზეთები აღნიშნავენ იმ ძველი შენობების დანგრევას, რომლებთანაც დაკავშირებულია ინგლისელი ხალხის ისტორიული და კულტურული მოგონებები. ლონდონის ცენტრში, სიტში, დანგრეულია შენობა „მერჩანტს ტეილორს“, რომელიც 1671 წელს არის აგებული. დანგრეულია აგრეთვე 1250 წელს აგებული ჰოლანდიური ტაძარი.

ბომბარდირებისაგან გაჩენილმა ხანძარმა ასობით შთანთქა წიგნის მაღაზიები და ბიბლიოთეკები, დაიღუპა ლონდონის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, რომელიც 400 ათას ტომს შეიცავდა. გაზეთები ბევრ რამეზე სდუმან, ისინი არჩევენ, არ ჩამოთვალონ ყველაფერი ის, რაც დაიღუპა ნანგრევებს ქვეშ და კმაყოფილდებიან ასეთი მოკლე ცნობით:

„გუშინდელი თავდასხმის დროს ყუმბარა მოხვდა ტეიტის სამხატვრო გალერეიას, რომელშიაც ინახებოდა ზოგიერთი ჩვენი საუკეთესო სურათი“.

გაზეთები იმავე დროს დაწვრილებით აღწერენ თავდასხმისაგან ჯერ კიდევ გადარჩენილ უძველეს შენობებს.

გასწორება

„ლიტერატურულ საქართველოს“ 23 მაისს, ნომერში მიხ. ხელეთუბნელის წერილში „ნ. ბარათაშვილის ბიოგრაფიის დაუწერელი ფურცლებისათვის“ მესამე აბზაცში შეცდომით დაბეჭდილია „კონსტანტინე ფალავანდოვი“, უნდა იყოს: „კონსტანტინე დადიანი“. მეოთხე აბზაცში თბილისის სამოქალაქო გუბერნატორად შეცდომით დასახელებულია „მიხეილ ფალავანდოვი“, უნდა იყოს „ნიკოლოზ ფალავანდოვი“.

** редакциის редколегия:**
ი. აბაშიძე, შ. დადიანი, ს. ეული, გ. ლეონიძე, ზ. ნატროშვილი, შ. რადიანი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვ. ფულუკიძე.

რედაქციის მისამართი: მაჩაბლის ქუჩა № 13, (მწერალთა სახლი) ტელეფონი 3—47—10.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.

УЭ 18217